# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებული 1918 წელს.

ოთხშაბათი, 23 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 189 (6289)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




მაკრატლიანი პრეზიდენტი ლენტებს ჭრის, ჰამაკში კოტრიალით ნეკნებმოთელილი ოპოზიცია კი თვალებს იჟღვლემს ③

## სტიქია მთელ საქართველოში მძვინვარებს

ადიდებულმა მდინარემ იმერეთის სოფელ პატრიკეთში 55 წლის ბეჟან მეფარიშვილი წაიღო. მოსახლეობამ დროულად შეძლო გადაერჩინა მასთან ერთად მყოფი 21 წლის იური დუდკო.

დაზარალებულებს ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე ნახირი ჰყავდათ. მოულოდნელად წყლის ადიდება კი ჰესის ფარების გახსნას მოჰყვა. მდინარემ ნახირი წაიღო და მეფარიშვილი სწორედ პირუტყვის გადარჩენას შეეცადა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერი წვიმების შედეგად ლაგოდეხის რაიონში მდინარეეები კაბალი და არეში ადიდდა. მდინარე არეშის კალაპოტიდან გადმოვარდნილმა წყალმა სოფელ ფიჩხიბოგირში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დატბორა. საცხოვრებელ სახლებში წყალი შეუვარდათ სოფელ ვერხვისმინდორის მაცხოვრებლებსაც. კაბალში სერიოზულად დაზიანდა ხიდი.

ძლიერი წვიმების შედეგად კახეთში მდინარე ბელაქანის ხევიც ადიდდა. ადიდებულმა მდინარემ სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედში საავტომობილო გზა წაიღო.

როგორც ერისიმედის მცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ძირითადი გზის მონაკვეთი, რომლითაც მოსახლეობა სიღნაღის რაიონს უკავშირდებოდა, მდინარისგან ისედაც დაზიანებული იყო. ერისიმედის მცხოვრებლების თქმით, ამ დროისთვის ისინი შემოვლითი გზით სარგებლობენ. იმ შემთხვევაში თუ წვიმამ არ გადაიღო, ადგილობრივები მდინარის კიდევ უფრო ადიდებას ვარაუდობენ, რამაც შესაძლოა, სოფლის დატბორვაც გამოიწვიოს.





ძლიერი წვიმების შედეგად ყვარლის რაიონში თითქმის ყველა მდინარე ადიდებულია. სოფელ ახალსოფელსა და ქალაქ ყვარელში ათობით საცხოვრებელი სახლი დაიტბორა. ენისელში ხევებიდან გადმოვარდნილი წყალი ვენახებში შევარდა. დანგრეულია საბუე-შილდის დამაკავშირებელი ხიდი. ათამდე სოფელში დაზიანდა და დაინგრა სასმელი წყლის სათავე ნაგებობები.

ზარალის დათვლა ვერ ხერხდება, რადგან ყვარლის რაიონში გადაუღებლად წვიმს. გამგებლის თქმით, ადიდებულია მდინარე დურუჯიც.

გურჯაანის რაიონში მდინარე ჭერმის ხევიც ადიდდა. ადიდებულმა მდინარემ სოფელ ჭერმის ხევთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა წაიღო.

ჭერემის მცხოვრებლებს რაიონთან დაკავშირება მხოლოდ ტყის ბილიკებით შეუძლიათ.

ახმეტის რაიონში, ილტოს ხეობის სოფლებში მეწყერი ჩამოწვა.

## ედუარდ შევარდნაძე: ④ „სომხეთი საქართველოს კონკურენტი ვერ გახდება“



- მთლად წყალი, უკაცრავად, მთლად ლავაკი არ გამოვიდეს, პრეზიდენტო!
- ჩემოდანი ტახტის ქვეშ ვიცი მე!..
- იმედს ნუ გადაუწურავთ ერისიმედელებს! ②



## ④ ახალი სახალხო დამცველი რადიკალურ ცვლილებებს არ გაატარებს




## საქართველოში ბიზნესი ისევე ⑤ უმართებულოდ კეთდება, როგორც უმართებულოდ იჭმევა!

## რითი ⑥ მოთაფლა მოსკოვმა უგო ჩავესი

◉ პოლიტწკიპურტები

# მთლად წყალი, უკაცრავად, მთლად ლაპარაკი არ გამოვიდეს, პრეზიდენტო!

**— ყოჩაღ, კარგი მაჩვენებლები გაქვთ! — აქებს პარტიული ფუნქციონერი მწველავებს. მაგრამ სამშობლოს კიდევ უფრო მეტი რძე და რძის პროდუქტები სჭირდება. ამის გათვალისწინებით, შეგიძლიათ ათასი ლიტრით გაზარდოთ საშუალო სადღეღამისო წველადობა?**

**— შეგვიძლია! — უპასუხებს ბრიგადირი.**

**— ორი ათასით გაზრდა შეგიძლიათ?**

**— გაგვიჭირდება, მაგრამ როგორმე მოვახერხებთ...**

**— სამი ათასით?**

**— კი შევძლებთ, მაგრამ რძე კი არა, მთლად წყალი იქნება, ბატონო!**



ეს საბჭოური „წვერებიანი“ ანეკდოტი მიხეილ სააკაშვილის სიტყვებმა გამახსენა:

**„ეს არის ჩვენი საარჩევნო ლოზუნგის ახალი ვარიაცია — საქმე ლაპარაკის პარალელურად“.**

... და სიტყვა იგი იყო თავდაპირველად ღმერთი ულმერთო ნაციონალებისთვისაც.

მერე, როდესაც ხალხს ყელში ამოუვიდა მათი ყბედობა, ლაგამამოუდებელი თავხედობა, უზომო ტრაბახი, უკანონობის პარადი და სხვა მანკიერებანი, რამაც ასიათასობით ადამიანი საპროტესტოდ ქუჩებში გამოიყვანა, არიქა, რიგგარეშე არჩევნებში არ წავაგოთო, და — **საქმე ლაპარაკის ნაცვლადო** — ეს ლოზუნგი იფარეს და გააპიარეს სააკაშვილის პირით!

უფრო მერე, როდესაც საარჩევნო მანიპულაციები „გააპრავეს“ და ამ ზაფხულს ოპოზიციაც „დააჩმორეს“, უკვე საჭიროდ არ ჩათვალეს კუკუდამალობანა და საქმიანი დემოკრატი კაცის ნიღაბიც ნაწილობრივ ჩამოიხსნეს — **საქმე ლაპარაკის პარალელურადო!**

თუ მთლად გაფონეს, მაშინ ნახეთ, როგორ გაახსენდეთ ბიბლიური შეგონება: პირველი იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი.

ამ ღმერთს კი თვით ულმერთო ნაციონალებიც სცემენ თაყვანს.

**ჰოდა, შეიძლება ასეთი ლოზუნგი კი არა, პრაქტიკა დამკვიდრდეს: ლაპარაკი საქმის ნაცვლად.**

აბა, ასეთი დაუნახაობა შეიძლება? განა საქმეები არ კეთდება? — იქნებ შემომედავოს ვინმე.

როგორ არ კეთდება, მაგრამ **მე კონკრეტულ, ქვეყნისა და ხალხისთვის საჭირო საქმეთა კეთებას ვგულისხმობ** (ჩამოთვლა რა საჭიროა, ისედაც ყველამ კარგად იცის, რამდენი რამ სტკივა და აწუხებს ქვეყანას, ქართველ ხალხს და რისთვის უნდა დაიხარჯოს უწინარესად საბიუჯეტო სახსრებიძ **და არა ძირითადად მომღერალ-მოცეკვავე თუ მუნჯი შადრევნების კეთებას!**

ისე კი, ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ერიდოთ ლოზუნგებს, თორემ **„ლოზუნგების ქვეყანამ“** რა ხეირიც დაგვაყარა თავის დროზე, ამის შესახებ, ვფიქრობ, თქვენმა საყვარელმა მწერალმა თამაზ წივწივაძემაც გვითხრა ამავე სათაურიანი წერილით.

ხოლო, რაკი ვიცი, რომ მის არც ერთ ნაწერს და, საერთოდ, ქართულ პრესას წაუკითხავად არ ტოვებთ, ისიც გეცოდინებათ, რომ **საქმეს არანაირი ლაპარაკი და, მით უფრო, ლოზუნგი არ სჭირდება: იგი თავად ლაპარაკობს ყველაზე უკეთ თავის თავზეც და საქმის მკეთებელზეც.**

ეს წერილიც იმიტომ დაიწერა, რომ ვთქვა: **მეტისმეტმა ფერისცვალებამ რძე შეიძლება წყლად აქციოს, საქმე კი ფუტურისტულ ლაპარაკამდე დაამციროს!**

აი, ამის არიდება მინდა თქვენთვის, ნაცებო!

# ჩემოდანი ტახტის ქვეშ ვიცი მე!..



**უთუოდ გეხსომებათ თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად მატარებლით მიმავალი ზურიკელა ვაშალომიძის ეს სიტყვები.**

რამ გამახსენა? რამ და, ჯერ თბილისში, მერე კი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც **„საქმე ლაპარაკის ნაცვლად“** ლოზუნგიდან **„საქმე ლაპარაკის პარალელურად“** ლოზუნგამდე **„ჩამოლაბორანტებული“** მთავრობის მიერ მოწყობილმა მორიგმა **„პაკაზუხობამ“** — ნახეთ, მთავრობა როგორ მუშაობს, რა ტექნიკა აქვს შემოტანილიო.

მაშინ რომ რუსთაველის პროსპექტზე ჩაამწკრივეს, აი ის ზიზია ტრაქტორები მაქვს ამჟამად მხედველობაში.

**ისინი, ეს ტრაქტორები, სოფლებში ფართობებს უნდა ხნავდნენ თუ ფარცხავდნენ და არა რუსთაველზე იდგნენ — გარედან მტრისთვის თვალის დასაყენებლად და...**

მაგრამ საქმე სინამდვილეში ამ ანდაზის საპირისპიროდაა: ჩვენი მოუხნავ-დაუთესავი ფართობების შემყურე მტერი ხაროზს და იცინის, გაგანია ხვნა-თესვის თუ გაჭირვებით მოყვანილი მოსავლის აღების პერიოდში უტექნიკობით გამწარებული შინაური კი მართლაც თვალდაყენებული და გულმოკლულია.

**ამიტომ, ბატონებო, „ჩემოდანი“ სოფელში უნდა იყოს და არა რუსთაველზე!**

# იმედს ნუ გადაუწურავთ ერისიმედელებს!

**ღორმა ღორს უთხრა, შე დინგიანოო, იმ ანდაზასავით რომ არ გამომივიდეს და ვინმემ არ მითხრას, მარტო ლაპარაკის სიყვარულისთვის რომ ძრახავ ამ მთავრობას, შენ თვითონ რატომ არიდებ თავს კონკრეტიკას და იმის თქმითღა კმაყოფილდებიო, ჩამოთვლა რა საჭიროა, ისედაც ყველამ კარგად იცის, რამდენი რამ სტკივა და აწუხებს ქვეყანას, ქართველ ხალხს და რისთვის უნდა დაიხარჯოს უწინარესად საბიუჯეტო სახსრებიო, ერთი კონკრეტული გასაკეთებელი მაინც ხომ უნდა დაასახელოო.**

**კი, ბატონო, ვიტყვი.**



ახლახან ერთი კარგი იურისტის და კიდევ უფრო კარგი პიროვნების აკაკი ბუდაღაშვილის ახალგამოცემული წიგნი წავიკითხე. იქ ნათქვამია, თუ როგორ ჩამოაჭრა 1956 წელს მოდიდებულმა და კალაპოტნაცვალმა ალაზანმა საქართველოს ათას ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი და როგორ დაიბრუნეს იგი გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში „საზიზღარმა“ კომუნისტებმა, როგორ ააშენეს იქ საცხოვრებელი სახლები, სკოლა, ბაგა-ბაღი, ამბულატორია, სასოფლო საბჭოს შენობა, მაღაზია, აბანო, დაინიშნა სამარშრუტო ავტობუსი და ა.შ.

მოკლედ, აშენდა სოფელი და მას ერისიმედი ეწოდა.

დღეს კი საშინლად უჭირთ იქაურებს. ხალხი იქიდან გამორბის.

არანაკლებ მტკივნეულია ისიც, რომ ალაზანი კვლავ გამორეცხავს ნაპირს და ახალ-ახალ ფართობებს გვაცლის.

ამით შეშფოთებულმა სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუგზარ შოშიაშვილმა ამ ოთხი წლის წინათ მთავრობას არგუმენტირებული წერილით მიმართა. შესაბამისმა უწყებებმა ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტიც მოამზადეს, მაგრამ...

ბიუჯეტს ფული არა აქვსო!

ასე უთქვამთ ნაცებს!

**ამიტომ ვთქვი, რომ თუნდაც ამ პროექტის დაფინანსება სჯობს მომღერალ-მოცეკვავე თუ მუნჯი შადრევნების კეთებას!**

**ეს მაინც გააკეთეთ „ლაპარაკის პარალელურად“.**

**რუსლან რუსია**

◉ ინფორმაცია

### არჩევნების დანიშვნას მაისამდე ითხოვენ

**ალიანსი საქართველოსთვის ადგილობრივი არჩევნების არაუგვიანეს მომავალი წლის 30 მაისამდე დანიშვნას მოითხოვს.**

**აღნიშნული მოთხოვნა ალიანსის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.**

**ამასთან, ალიანსი 2010 წლის 30 მაისამდე თბილისის მერისა და სხვა ქალაქების მერების პირდაპირი წესით არჩევის დაკანონებასაც ითხოვს.**

**ამავდროულად, სხვა დაინტერესებულ ძალებთან და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ირაკლი ალასანიასა და „მემარჯვენეების“ გაერთიანება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზეც აპირებს მუშაობას.**

### „ალიანსი საქართველოსთვის“ ახალი წევრებით შეივსო

**სოზარ სუბარი და კოკა გუნცაძე ირაკლი ალასანიას პარტიას შეუერთდნენ. “ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატებში“ ყოფილი სახალხო დამცველისა და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის (რომელმაც, ბოლო პერიოდში რამდენიმე პარტია გამოიცვალა) გაწევრების შესახებ გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე თავად პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.**

**— სოზარ სუბარი ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობით და იმედის მომცემი იყო ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში უსამართლობის მსხვერპლი გახდნენ... კოკა გუნცაძე კი, ცნობილია, როგორც ოპოზიციის და ჩვენი ბრძოლის ავანგარდში მყოფი ადამიანი, — განაცხადა ალასანიამ.**

### რუსმა ოკუპანტებმა სამი ქართველი დააკავეს

**ვლადიმერ ბედოღლი, გიორგი თაკალანძე და ირაკლი ხალვაში მაშინ აიყვანეს, როდესაც ისინი ოტობაიადან ზუგდიდის მიმართულებით მოძრაობდნენ.**

**ოკუპანტები მათ ჯერ სასტიკად გაუსწორდნენ, მოგვიანებით კი სოხუმის მიმართულებით გადაიყვანეს. გატაცებულების ადგილსამყოფელი ამ დროისთვის უცნობია. ოჯახის წევრები და ახლობლები დახმარებას ხელისუფლებას და საერთაშორისო თანამეგობრობას თხოვენ.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ

◉ ოპოზიცია

# დროა, ხელისუფლება გონს მოეგოს და საქართველოს მიწა-წყლის გაყიდვა შეწყვიტოს

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ტყით გრძელვადიანი სარგებლობისთვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით მიმდინარე აუქციონზე ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილთან ერთად შეიჭრნენ.**

მათი მთავარი მოთხოვნა აუქციონის ჩაშლა და მასში მონაწილე ყველა მხარის მიერ მონაწილეობაზე უარის თქმა იყო. შალვა ნათელაშვილმა მათ მოუწოდა, დაეტოვებინათ დარბაზი, რითაც დიდ სამამულო საქმეს გააკეთებდნენ.

ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნის შემდეგ, აუქციონში მონაწილე ნოდარ ალაიდინმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა. ნოდარ ალაიდინმა განმარტა, რომ ქართველ ხალხს ვერ დაუპირისპირდება.

ლეიბორისტული პარტიის აქციას, სოლიდარობის ნიშნად, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილიც ესტუმრა.

— დროა, ხელისუფლება გონს მოეგოს და შეწყვიტოს საქართველოს მიწა-წყლის გაყიდვა. მივესალმები ბატონი ალაიდინის ნაბიჯს და ვიმედოვნებ, რომ სხდომას აუქციონში მონაწილე სხვა პირებიც დატოვებენ, — განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

— ჩვენი ტყეების გაჩეხვის უფლება არ აქვთ, უტყეოდ დარჩენილი მთები აღარ შეივსება, ხალხი ვერ იცხოვრებს, ვეღარ გაიზრდება მომავალი ნიჭიერი თაობა, ხელისუფლება მალე შეიცვლება და ტყის გამყიდველნი ციხეში წავლენ, სააკაშვილის გულის გასახეთქად 300-წლიანი ხეები მედგრად დგანან, ეს პოლოლიკაშვილი მხოლოდ იმიტომ ჩამოიყვანეს ესპანეთიდან, რომ ესპანეთში ჩასულთ იგი კარგად უმასპინძლდებოდა. ახლა ჩვენ შევეცდებით დავესწროთ ეკონომიკის სამინისტროში ტყის გაყიდვის აუქციონს და ჩავშალოთ იგი, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა ეკონომიკის სამინისტროსთან გამართულ აქციაზე.

**ექსპრესნიუსი**

◉ მოლოდინების შემოდგომა

# მაკრატლიანი პრეზიდენტი ლენტებს ჭრის, ჰამაკში კოტრიალით ნეკნებმოთელილი ოპოზიცია კი თვალებს იჟღვლემს



**სასიხარულო და საზეიმო არ გველევა.**

**ვეღარ ავუდივართ სატაშფანდუროს.**

იმ დღესაც გამობრძანდა პრეზიდენტი და ჩვენს ეროვნულად გასახარად გული დაუკოდა მტერსა და ავისმსურველს — საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივით მსოფლიო ნუსხაში 101 ადგილით წინ გადაინაცვლა და ოდინდელი 112-დან მე-11 ადგილზე დამკვიდრდაო. აღტაცებისგან ცრემლმორეული კაცობრიობა ტაშს გვიკრავს და შემოგვნატრისო.

საცოდავმა კაცობრიობამ არ იცის, რომ ასეთი ნახტომის გასაკეთებლად, სულ ცოტა „ვარდების რევოლუცია" მაინც უნდა ედოს ჯიბეში, ის უნდა აძლევდეს ხტომის, ფრენის და გიჟმაჟობის სტიმულს.

საქართველოში ბიზნესისთვის სამოთხეა: დილას დაიწყებ, საღამოს თავბედს დაიწყევლი!

ბიზნესის დარგში მსოფლიოში არნახულმა ამ წინსვლამ დაახლოებით 45-50 წლის წინანდელი ამბავი გამახსენა.

თბილისი და რიგა ერთმანეთს სისუფთავეში ეჯიბრებოდნენ.

გამარჯვებული ყოველთვის ჩვენი საყვარელი დედაქალაქი გამოდიოდა.

სამაგიეროდ, დამარცხებული რიგა ყოველთვის სუფთა და მოწესრიგებული იყო.

ბიზნესმენები და ბიზნესის წამოწყების მსურველები საქართველოდან კისრისტეხით გარბიან ათასი ოფიციალური თუ არაოფიციალური, ხილული თუ უხილავი ბარიერის გამო, სამაგიეროდ რეიტინგში გიგანტური ნაბიჯებით მივიწევთ წინ, აი, უკვე პირველ ათეულს დავადგით კუდზე ფეხი.

ცოტაც და სულაც სამეულში დავმკვიდრდებით! მერე ნახეთ საპრეზიდენტო საველე ტრიბუნის აქეთ-იმერში გადარბენ-გადმორბენინება და რუსეთისთვის ქოქოლის დაყრა.

განსაკუთრებით ამ ზაფხულიდან ავიწყვიტეთ, მას შემდეგ, რაც დაუსრულებელი მიტინგებით ქანცგაწყვეტილმა ოპოზიციამ დასასვენებლად მოქუსლა, ვინ — მთაში, ვინ — ზღვაზე.

ოპონენტების ეს საკუროროტო ჯვაროსნული ლაშქრობა პირდაპირ ღვთის წყალობა აღმოჩნდა მარჯვედ ჩასაფრებული ხელისუფლებისთვის.

უმაგალითო გამარჯვებებით ხომ ისედაც მოპირულები ვიყავით, ახლა სულ გადავრიეთ გალაქტიკა!

ტელეეკრანზე ნაცნობი ტრიბუნის გამოჩენისას მოქალაქეებს კანკალი გაუდით რაიმე ახალი სრულიად პლანეტარული ან დასავლეთ-ევროპული (აღმოსავლეთ ევროპა, უფრორე რუსეთი, თავისი ჟანგიანი ტანკებითა და მათხოვრული ეკონომიკით, რა სათვალავში ჩასაგდებია!ძ სასწაულის მოლოდინში. პრეზიდენტი არასოდეს გვიცრუებს ამ მოლოდინს და ხან იმერეთში ხსნის ერთი პირის საწარმოს და ხან კახეთში — სპორტულ მოედანს, ბუნებრივია, მსოფლიოში თუ არა, მაშრიყიდან მაღრიბამდე ნაღდად საუკეთესოს.

ასე რომ, პრეზიდენტ სააკაშვილს ამ ბოლო ხანს წიგნისა და კალმის ნაცვლად ხელთ ხაზგასმული გულმოდგინებით მაკრატელი უპყრია და დაუღალავად ჭრის ლენტებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, საზოგადოებისთვის ხელმაკრატლიანი პრეზიდენტის ხილვა უფრო უპრიანია, ვიდრე მისი ტრიბუნა-ამბიონზე ასევე მალიმალ შედგომა, რადგან ამ ქადაგად დავარდნების ჟამს იმდენ ლაფსუსს გვიშენს, მათი მხოლოდ გახსენებაც კი ირანიდან შემოტანილი ნიორივით გითუთქავს პირს.

ამდენად, თუ ჭკუა აქვს, ოპოზიციას ისეთი ჭექა-ქუხილით მოუწევს „საფლავიდან, ძმებო, მხრების წამოწევა", ვეზუვს რომ არ მოელანდებია, თორემ ამ ზაფხულს პლაჟზე თუ ჰამაკში კოტრიალით ნეკნებმოთელილ პარტიულ ლიდერებს, რომლებმაც ვერც კოტრიალამდე გვიჩვენეს შემართებისა და სიბრძნის სასწაულები და ოდენ დაზუთხული შუშხუნა გამოსვლებით გვეკოპწიავებოდნენ, გულაყრილ, იმედგაცრუებულ ხალხთან ერთობ მძიმე შეხვედრა ელით.

მაგრამ, როგორც უსათვალოდაც ჩანს, ვეზუვი და ეტნა მოსალოდნელი არ არის.

ოპოზიცია მძიმე-მძიმედ ილვიძებს და ჯერჯერობით ძილით შეშუპებული თვალების ჟღვლემით და გენიტალიების ფხანით არის დაკავებული. ამ ჟღვლემა-ფხანაში ზოგიერთს რაღაც იდეებიც მოსდის, ზოგიც თვითგვემას შეუპყრია.

ახლაღა აღიარებენ, აქამდე ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის ფორმა არაეფექტიანი იყოო, ოდინდელი ერთობა საკმარისი არ აღმოჩნდა არსებული რეჟიმის შესაცვლელადო. ეს თავისთავად ნიშნავს დაპირებას, აწი ნახეთ რასაც ვიზამთო.

მართალია მარცხს ცოცხალი თავით არ აღიარებენ (როგორც ჩვენი ხელისუფლება — 2008 წლის აგვისტოს ომში თავლაფის დასხმასძ, მაგრამ იმასაც ვერ უარყოფენ, რომ მონოლითი ავტორიტარული რეჟიმის პირისპირ იდგა არაერთგვაროვანი ოპოზიცია, რომლის მარაგი ძმედის კოეფიციენტი ბევრად ნაკლები იყო, ანუ ნაკლები იყო გამარჯვების იმედიც. არადა, ამ კუდმოკვეცილი იმედით — „მოვდივართ, მიშა!" კვებავდნენ ისინი ხალხს ლამის სამი თვის მანძილზე.

კი, ისევ გვაიმედებენ, ახალი პოლიტიკური სეზონი დიდ ცვლილებებს მოიტანსო.

ოღონდ, რაღაც-რაღაც კორექტივები შეუტანიათ „მოვდივართ, მიშაში".

ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა იგივე დარჩება, ოღონდ მიზნის მისაღწევად ყველა თავის გზას აირჩევსო. აქ გამორიცხული არ არის, როინ ლიპარტელიანი და ქართლოს ღარიბაშვილიც შეებან ურჩხულს.

ამდენად, ოპოზიციის გაზაფხულზაფხულის მოჩვენებითი ერთობა საბოლოოდ ჩაბარდება უფალს.

გამორჩეულად და უსაბუთოდ იმედიანი ეკა ბესელია („ერთიანი საქართველო"ძ არ უარყოფს, რომ ფორმულა „ბრძოლაში ყველანი ერთად" კარგია, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე რთულად მისაღწევია, ამიტომ სჯობს შევქმნათ ისეთი ტიპის ერთობა, რომელიც პოლიტიკური სუბიექტები შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ უფრო თანამიმდევრული იქნებაო.

და ახლა „ერთიანი საქართველო" კონსერვატორებთან, „საქართველოს გზასთან" და „დემოკრატიულ მოძრაობასთან" ალიანსის შექმნის გეგმას განიხილავს. ყოველ შემთხვევაში, როგორც კოჭებში ეტყობა, ეკა ბესელია და ზვიად ძიძიგური უკვე მზად არიან „გვირგვინის საფსკვნელად".

ის კი არა, ძიძიგური უკვე საერთო ლიდერსა და ერთიან სტრუქტურაზე ლაპარაკობს: საჭიროა ოპოზიციამ კოორდინაციის რეჟიმში კი არ იმუშაოს, როდესაც თითოეულს მოქმედების თავისუფლება აქვს, უნდა მიიღებს აქციაში მონაწილეობას, უნდა — არა, უნდა ჩაერთვება ამა თუ იმ პროცესში, უნდა — არა. იქნება ერთიანი გადაწყვეტილების სავალდებულო ერთიანი შესრულებაო, ანუ „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმურიო"...

ოღონდ სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე პარტიების სამომავლო გეგმებზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

ალასანიას, გამყრელიძისა და უსუფაშვილის ალიანსს პირველი ეტაპი უკვე გავლილი აქვს. ამ გაერთიანებას საჯაროდ გამოცხადებული ლიდერი ჰყავს — ირაკლი ალასანია. სტრუქტურა მეტნაკლებად ჩამოყალიბებული და ფუნქციებიც განაწილებულია ეკონომიკის ჯგუფს დავით გამყრელიძე ხელმძღვანელობს, უსაფრთხოებას (თავდაცვისა და უშიშროების, საგარეო პოლიტიკის საკითხებიძ თვით ირაკლი ალასანია, საკონსტიტუციო და საარჩევნო რეფორმას, თავისი პროფილიდან გამომდინარე — დავით უსუფაშვილი.

ამ ორ დაჯგუფებას შორის მთლად დავარცხნილი ურთიერთობა მაინცდამაინც მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

ბევრი პარტია, ვინც სხვასთან გაერთიანებას არ აპირებს, ალბათ კვლავ ქუჩის აქციებს მოიმარჯვებს ბრძოლის ტაქტიკად. ისე რომ, „ჯოს, ჯოს, გაუმარჯოსო" კვლავაც დაგვიამებს ყურს.

ლეიბორისტები ისევ ეულად გააგრძელებენ საქმეს. საგაზაფხულო აქციებზე შალვა ნათელაშვილი რამდენჯერმე გამოჩნდა სააკაშვილის გადადგომის მხარდამჭერად, მაგრამ შემოდგომაზე მსგავსი აღარაფერია მოსალოდნელი. დამახასიათებელია ამ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის გუგავას განმარტება: ოპოზიციის გამოკვეთილი ლიდერი ლეიბორისტული პარტია ისეთ ფარსში, როგორიც მექანიკური შეკოწიწებაა, იმის ილუზიის შესაქმნელად, ერთად ვართ და სააკაშვილის ხელისუფლებისგან ქვას ქვაზე არ დავტოვებთო, შემდეგ კი მიდიან და სააკაშვილს ევაჭრებიან, მონაწილეობას არამც და არამც არ მიიღებსო.

ასე რომ, შალვა კვლავაც ეულად შეებმება მსოფლიო დემოკრატიის შუქურას.

მაღალი რეიტინგის გამო „ეროვნული ფორუმი" ალბათ ყველასთვის სასურველი პარტნიორია. კახა შარტავამ, გუბაზ სანიკიძემ და ირაკლი მელაშვილმა თანამოაზრეებთან ერთად არჩევანი უნდა გააკეთონ სრულ თავისუფლებასა და რომელიმე ალიანსს შორის. მათ ამის თაობაზე თითქოს კარგა ხნის წინათ უნდა განეცხადებინათ...

კონსტანტინე გამსახურდიას თავისი მრავალრიცხოვანი ზვიადისტი მხარდამჭერებით ნებისმიერ არჩევნებში შეუძლია ხმების რამდენიმე პროცენტის შეგროვება. ამიტომ გამსახურდია ნებისმიერი გაერთიანებისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა, მაგრამ ის განსხვავებულ გზას ირჩევს... ფაქტობრივად, დასტურდება ხმები მისი პარლამენტში შესვლის შესახებ. სავარაუდოა, რომ მან კონსულტაციები მიიღო აშშ-ში ამ დღეებში ყოფნისას.

სხვათა შორის, ასევე საკონსულტაციოდ იმყოფებოდა ამერიკაში ირაკლი ალასანიაც. სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე შეხვედრებს თბილისში მართავდნენ, რესპუბლიკელებმა კი პოლიტსაბჭოს სხდომა ბაკურიანში გამართეს.

დაბოლოს, ძმები გაჩეჩილაძეები... მათი პოლიტიკური მომავალი ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია (საგაზაფხულო აქციების მთავარი ორგანიზატორების მიმართ დღეს ყველაზე მეტი საყვედური ისმისძ. დიდია ალბათობა, რომ ისინი ძიძიგური-ბესელია-ბურჯანაძე-ზურაბიშვილის სავარაუდო გაერთიანებას დაუჭერენ მხარს და, ამდენად, ოდინდელ ჟღერადობას მისცემენ თავიანთ საფირმო საბრძოლო შეძახილს „მიშა, მოვდივართ!"

ყოველ შემთხვევაში, ამ ალიანსში შესვლის მსურველებისთვის ვადად 1 ოქტომბერია დათქმული.

1 ოქტომბერი აგერ ყურის ძირშია!.

1 ოქტომბერი შუა შემოდგომის დასაწყისია.

თუ ვინმე რამეს აპირებს, დროა, დაირღვეს სამარისებური სიჩუმე ოპოზიციურ სივრცეში.

თორემ მხოლოდ აქუბარდიას ტელეეკრანზე მუშტების ქნევა რა ბედენაა!..

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ აქტუალური ინტერვიუ

# ედუარდ შევარდნაძე: „სომხეთი საქართველოს კონკურენტი ვერ გახდება"

**— ბატონო ედუარდ, როგორ შეაფასებთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რაკეტსაწინააღმდეგო რადარების ჩეხეთსა და პოლონეთში განთავსების გადაწყვეტილების შეცვლას?**

— ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გამუდმებით ვამბობდი, რომ ამერიკის მიერ ჩეხეთში და პოლონეთში რადარების განლაგებას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა რუსეთის საპასუხო ქმედება. საბედნიეროდ, ჩემი წარმოდგენა ამერიკის ახალ პრეზიდენტზე გამართლდა. ობამას გადაწყვეტილებას მივესალმები. ამასთან, ჩემი აზრით, ობამას ამ ნაბიჯში მისი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მხოლოდ ნაწილია და მას მოჰყვება უფრო მასშტაბური მოქმედების სისტემა. დარწმუნებული ვარ, მას უფრო გრანდიოზული გეგმები აქვს. პრობლემა სხვაშია — როგორი რეაქცია ექნება რუსეთს? მთავარია, ეხლა რუსეთმაც შესაბამისი ნაბიჯები გადადგას. თუ რუსეთი სწორ ანალიზს გააკეთებს, ორივე ქვეყანამ უნდა დაიწყოს ბირთვული იარაღის რეალური შემცირების პროცესი, ამას მსოფლიოს ხალხებიც დაუჭერენ მხარს. ჩემს სიტყვებში არაფერია მოულოდნელი, რადგანაც ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდს ემთხვევა ამერიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის რადიკალური შეცვლა — არამარტო ბირთვული იარაღის, ასევე ჩვეულებრივი შეიარაღების 2-ჯერ შემცირება. ობამას გადაწყვეტილება — ეს არის დიდი საქმის კარგი დასაწყისი, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი. სხვათა შორის, ობამას ნაბიჯი შეიძლება, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც და თუ ეს მოძრაობა განვითარდება, ვფიქრობ საქართველოსთვისაც დადებითი მნიშვნელობა ექნება. ასევე ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორ იმოქმედებს გაეროს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო — მათ ეძლევათ შესაძლებლობა, დაიწყონ ახალი ეტაპი მსოფლიო ისტორიაში.

**— რეგიონში საინტერესო პროცესები მიმდინარეობს და ახალი აქტიური მოთამაშეები ჩნდებიან, - ვგულისხმობ სომხეთსა და თურქეთს. ხომ არ არის შესაძლებელი, ამასთან დაკავშირებით საქართველომ სატრანზიტო ქვეყნისა და რეგიონალური ლიდერის როლი დაკარგოს?**

— ვერ ვიტყვი, რომ საქართველო რეგიონში თავისი მნიშვნელობის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ჩემი აზრით, საქართველოს რეგიონში თავისი ფუნქცია ჰქონდა, აქვს და ექნება. რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, სომხეთი საქართველოს კონკურენტი ვერ გახდება. მართალია, სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის. ჯერჯერობით საქართველო, როგორც აზიისა და ევროპის კონტინენტებს შორის დამაკავშირებელი სახელმწიფო, რეგიონში თავის ფუნქციას ინარჩუნებს.

**— აქტიურად მიდის იმაზე საუბარი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა, კავკასიის რეგიონში პოლიტიკური ვექტორი შეცვალოს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საქართველოში აშშ-ის ინტერესების შემცირება და ფსონის ამჯერად სომხეთზე დადება?**

— არა მგონია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ორიენტაცია შეიცვალოს. იმისათვის, რომ აშშ-მა ფსონი სომხეთზე გააკეთოს და ორიენტაცია შეიცვალოს, სომხეთი სხვაგან უნდა გადავიტანოთ. სომხეთს თავისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ადგილი აქვს განსაზღვრული. ამ მხრივ ის ვერასდროს გახდება საქართველოს კონკურენტი. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ურთიერთობები აიგება ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

იხ. 4 გვ.

**◎ აქტუალური ინტერვიუ**

# ედუარდ შევარდნაძე:
# „სომხეთი საქართველოს კონკურენტი ვერ გახდება“

(მესამე გვერდიდან)

თუ ირანთან ომი დაიწყო, რასაც მე ნაკლებად ველი, მაშინ საქართველოს მიმართ ინტერესი უფრო გაიზრდება. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ რეგიონში აზერბაიჯანიც არანაკლებ მნიშვნელოვანი მოთამაშეა, რომელსაც ყარაბაღის პრობლემა აქვს. ჩემი აზრით, რუსეთს შეუძლია, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დადებითი როლი ითამაშოს, თუმცა ყარაბაღის პრობლემა კიდევ 5-10 წელს არ მოგვარდება. ასე, რომ, რეალური საფრთხე იმისა, რომ ამერიკა თავის ვექტორს შეცვლის, საქართველოს ნამდვილად არ ემუქრება.

**— როგორ ფიქრობთ, იცვლება თუ არა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ბოლო დროს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით? ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთის მიმართ საქართველო კვლავინდებურად ხისტ პოლიტიკას ინარჩუნებს, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ, რომელსაც რუსებთან სალაპარაკო პირი თავად აღარ აქვს, ეს როლი საპატრიარქოს დააკისრა, რომლის დელეგაციამ რუსეთში უკვე არაერთი შეხვედრა გამართა...**

— რამდენადაც ვიცი, ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტები არიან, საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარეს და აქედან გამომდინარე, განაწყენების რეალური საფუძველი გვაქვს, რუსეთი მაინც რჩება მეზობლად, მას ვერავინ გადაასახლებს, ისევე, როგორც ვერც ჩვენ გვაიძულებს ვინმე, გადავსახლდეთ, ასე, რომ, მოგვწონს თუ არა, ამ რეალობიდან უნდა გამოვდიოდეთ. ერთ-ერთ ჟურნალისტს ვუთხარი, ჩემი საქმე რომ ყოფილიყო, რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს არ გავწყვეტდი-მეთქი. თუმცა ერთმნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ჩვენი სეპარატისტული რეგიონების აღიარებით შეცდომა დაუშვა. თუკი ეს პატარა რეგიონები იმსახურებენ დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას, მაშინ ჩეჩნეთმა რა დააშავა, სადაც სამჯერ მეტი მოსახლეობა ცხოვრობს?! ან ინგუშეთში და დაღესტანში რა ხდება? დაღესტანში 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და კასპიის ზღვაზე გასასვლელი აქვს. ასევეა თათარსტანი, სადაც ათეულობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ყველა რეგიონს აქვს თავისებურება და პრეტენზია. აქედან გამომდინარე, რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებით მისთვის არასასურველი პრეცედენტი შექმნა და აღნიშნული პრეცედენტი ყველა იმ რეგიონს, რომლებიც მე უკვე ჩამოვთვალე, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის დიდ სტიმულს აძლევს. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია რუსეთისთვის დაშლის საფრთხე, მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობა ამ რეგიონებში უკვე დაწყებულია და ეს ფაქტია.

**— ბატონო ედუარდ, საუბრისას აღნიშნეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა აღდგეს და რეალობიდან უნდა გამოვდიოდეთ, რეალობა კი ასეთია: ოკუპირებული ტერიტორიები, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება... როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რა დათმობებზე შეიძლება წავიდეს რუსეთი და რა უნდა დათმოს საქართველომ?**

— საქართველო მეტ დათმობებზე ვერ წავა. სხვათა შორის, ომი საქართველოსა და რუსეთს შორის რუსებს არ დაუწყიათ, - ომი დაიწყეს ქართველებმა. როცა კიტოვანი იყო გვარდიის მეთაური, მაშინ სახელმწიფო საბჭო იყო, ამ საბჭოს თავისებურება კი ის გახლდათ, რომ ის ბევრ საკითხებს წყვეტდა, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ჯარი არ ემორჩილებოდა. შეგახსენებთ, რომ სოჭიდან სოხუმამდე მოძრაობდა მატარებელი, რომელიც იძარცვებოდა, რის შედეგადაც 10 მილიარდი ზარალი მიადგა სახელმწიფოს და არსებობდა საფრთხე, რომ ამ ზარალის გადახდა საქართველოს მოუწევდა. მაშინ საბჭომ მატარებლების გაცილების მიზნით ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. აქ ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოს განკარგულებას, რომელშიც ნათლად ეწერა, რომ ჯარს დასახლებულ პუნქტებში შესვლა ეკრძალებოდა. იყო სამი პუნქტი: სამტრედია, სოხუმის რაიონი და არა ქალაქი სოხუმი და ლესელიძე — ამ სამ პუნქტში უნდა დამდგარიყო ჯარი მატარებლების დასაცავად. როცა კიტოვანი მიადგა სოხუმს, მაშინ ელცინი სოჭში იმყოფებოდა. მან დამირეკა და მითხრა, „შეცდომაში უნდათ შეგიყვანონ, გვარდია სოხუმში შესვლას აპირებს, რაც დაუშვებელია, რადგან ორი ჩვენი კბილებამდე შეიარაღებული ბატალიონი იქ იმყოფება და მესაზღვრეებიც ჩვენიაო“. ეს ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებას ნიშნავდა.



რა თქმა უნდა, მაშინვე დავურეკე კიტოვანს, კატეგორიულად ავუკრძალე სოხუმში შესვლა, მეორეჯერაც დავურეკე. გოგა ხაინდრავასაც ვუთხარი, კიტოვანმა სოხუმში შესვლა არ გაბედოს-მეთქი და ელცინის ნათქვამიც სიტყვასიტყვით გადავეცი. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, კიტოვანი მაინც შევიდა სოხუმში. არ უნდა შესულიყო!

ასეა თუ ისე, რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში 5-10 წელიწადში არ შეიცვლება. ჩვენ იქიდან უნდა გამოვიდეთ, რატომ არის რუსეთი ასე დაინტერესებული აფხაზეთით. რუსეთს სჭირდება შავ ზღვაზე გასასვლელი. სანამ იყო ერთიანი საბჭოთა კავშირი და ყირიმი ამ კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, რუსეთს შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, რომ ყირიმის ნახევარკუნძული ხრუშჩოვმა უკრაინას აჩუქა, რის შემდეგაც უკრაინამ დამოუკიდებლობის შემდეგ იქ მოძრაობა გარკვეულწილად შეზღუდა. რუსეთი სადღეისოდ ამ მხრივ მხოლოდ სევასტოპოლით სარგებლობს, ისიც - იჯარით, მაგრამ ეს იჯარაც შეიძლება, მხოლოდ 10-15 წლამდე იყოს. აქედან გამომდინარე, რუსეთის პრობლემაა - შავ ზღვაზე გასასვლელი. მართალია, არის კიდევ ერთი ნავსადგური ნოვოროსიისკში, მაგრამ ეს ნავსადგური 2-3 თვის განმავლობაში სანაოსნოდ უვარგისია. სხვათა შორის, რუსებს ვთავაზობდი, ერთად აგვეშენებინა ნავსადგური და სამივე მხარეს გვესარგებლა, მაგრამ მაშინ ეს ამბავი არ გამოვიდა. ახლა კი რუსეთმა გადაწყვიტა, გარანტირებული გასასვლელი ჰქონდეს შავ ზღვაზე და ამიტომ აფხაზეთში ორ ნავსადგურს აშენებს. ნავსადგური მარტო გემები ხომ არ არის, - იქ ჩადიან ჯარისკაცები, ოფიცრები... შესანიშნავი ადგილია, მიწებს იძენენ... 10-15 წელიწადში აფხაზები, როგორც ერი, აღარ იარსებებს. ზოგიერთი აფხაზი ამას უკვე ხვდება და დარწმუნდა, რომ აფხაზების ბედი საქართველოზეა დამოკიდებული. ჩვენ გვესმოდა მათი, ჩემი, ჯერ კიდევ ცკ-ს მდივნობის დროს აფხაზეთის უნივერსიტეტი გაიხსნა, ტელევიზია, სუბტროპიკული ინსტიტუტიც დაფუძნდა და აფხაზური ენის სწავლებაც შემოვიღეთ. ბაღაფში 4-5 წლის განმავლობაში კომკავშირის ცკ-ს მეორე მდივნად მუშაობდა, ხოლო ანქვაბი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. მან გენერლობა აქ მიიღო. მაშინ კარგი ბიჭები იყვნენ, ახლა კი სეპარატისტები გახდნენ. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ აფხაზი ერის გადარჩენა მხოლოდ საქართველოსთან ერთად მოხერხდება.

**— ბოლო დროს სულ უფრო მეტი ექსპერტი, პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გასული წლის აგვისტოს ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა აშშ-ის გლობალური პოლიტიკური თამაშის ნაწილი, რომელშიც საქართველო და უშუალოდ მისი ხელისუფლება პაიკებად იქნა გამოყენებული. ამ თამაშის მიზნად კი რუსეთის დაშლის პროცესის დაწყება სახელდება. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

— არა, ასე ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი, ამ ომთან ამერიკა არაფერ შუაშია. შეერთებული შტატების წარმომადგენლები და უშუალოდ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი საქართველოს მთავრობას ურჩევდნენ, ომი არ დაწყებულიყო. ეს იყო რუსეთის ინტერესი, მაგრამ ჩვენი შეცდომაც, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული ჯარი ცხინვალში შევიდა. ამან მისცა რუსეთს საბაბი, საპასუხო რეაქცია მოეხდინა და ლამის მთელი საქართველოს ოკუპირება განეხორციელებინა. ასე რომ არც ჩვენ ვართ უცოდველი და არც რუსები.

**— შეუთანხმებლობა ნატოს გაფართოების, ანუ საქართველოსა და უკრაინის წევრობის საკითხზე; გახანგრძლივებული, უპერსპექტივო ომი ავღანეთში; ანტიამერიკული განწყობის ზრდა დასავლეთ ევროპაში... ყოველივე ეს ნატოს რღვევის ნიშნებად ხომ არ უნდა აღვიქვათ? თქვენი აზრით, რით შეიძლება ნატოს ბლოკის გაძლიერება?**

— ჩემი დასკვნით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ დაიშლება. ნატო სჭირდება ევროპასაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. თუ რუსეთი გადაწყვეტს ევროპის ოკუპირებას, სწორედ ნატოა ის ძალა, რომელიც რუსეთის ასეთ სურვილს წინ აღუდგება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთსა და ნატოს შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობების ხელშეკრულება. ვფიქრობ, ნატო უფრო გაძლიერდება, ვიდრე დაიშლება.

**— ზოგიერთი პოლიტოლოგი შანხაის ორგანიზაციაში ნატოს საპირისპირო სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს ხედავს. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა ამ ორგანიზაციის წონად სამხედრო ბლოკად ჩამოყალიბება და ხომ არ მიგვიყვანს ეს ხელახალ გამალებულ შეიარაღებამდე და XXI საუკუნის გეოპოლიტიკურ კატაკლიზმებამდე?**

— ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში აღნიშნულ საკითხს პერსპექტივა არა აქვს, თუმცა პოლიტიკოსები დღეს მეტს უნდა ფიქრობდნენ ჩინეთზე, რომლის მოსახლეობა უკვე 1,5 მილიარდს აჭარბებს. ყოფილხართ ჩინურ მაღაზიაში? რა უნდათ ჩინელებს საქართველოში?! როგორ ფიქრობთ, საქართველო აინტერსებთ თუ სხვა რამე? მე მგონი, ევროპაში გასასვლელი აინტერესებთ და საქართველო პლაცდარმია ამისათვის.

**— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რუსეთზეც მინდა, გკითხოთ. დემოგრაფიასა და სუსტ ინფრასტრუქტურას რუსეთის აქილევსის ქუსლად მიიჩნევენ. გაეროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2050 წლისათვის რუსეთის მოსახლეობა შეიძლება, 30-40 პროცენტით შემცირდეს. ამ ფონზე კი რუსეთში მნიშვნელოვნად იზრდება ჩინელთა და არამართლმადიდებელ უმცირესობათა რაოდენობა. რა ცვლილებები და სირთულეები შეიძლება, გამოიწვიოს ამ რეალობამ?**

— პუტინს აქვს ჩემთვის ნათქვამი, „დღეს ციმბირში 7 მილიონზე მეტი ჩინელია და ვერაფერსაც ვერ ვუშვებითო“. ფულს უხდიან მესაზღვრეებს, დაბალ ხელფასზე მუშაობაზე თანახმანი არიან... რა თქმა უნდა, რუსეთს სერიოზული საფრთხე ემუქრება. თუმცა რუსეთი მაინც დიდია და მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს, ამდენად მოსახლეობა 40 პროცენტითაც რომ შემცირდეს, რუსებს გადაშენება არ ემუქრებათ. ამ მხრივ უფრო მეტი საფრთხე საქართველოს ელის. სტატისტიკის თანახმად, 2040 წლისთვის ქართული მოსახლეობის რაოდენობა შესაძლოა, 2 მილიონამდე შემცირდეს. ჩინელები მრავლდებიან, ქართველები - არა. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ სახსრები უნდა გამონახოს, რათა მრავალშვილიან დედებს ფინანსურად დაეხმაროს. მშობელმა უნდა იცოდეს, რაც უფრო მეტ შვილს გააჩენს, მით მეტ ფინანსურ დახმარებას მიიღებს. თუ ამ მიმართულებით არ გაკეთდა რამე, ქართველებს გადაშენება გვიწერია.

**— როგორ აფასებთ „ნაბუკოს“ პროექტის მომავალს და რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მილსადენის სომხეთზე და არა საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანა? ამ ფონზე რამდენად სავარაუდოდ მიგაჩნიათ თურქმენეთისა და რუსეთის პოზიციების დაახლოება?**

— ნაკლებად მოსალოდნელია, სომხეთი „ნაბუქოს“ პროექტისთვის სატრანზიტო ქვეყნად გამოიყენონ. რუსეთსა და თურქმენეთს შორის უკვე შედგა მოლაპარაკებები და თურქმენული გაზის საკმაოდ დიდ ნაწილს რუსეთი იყიდის, რათა მერე ევროპაში გაყიდოს, თუმცა არც თურქმენეთს სურს, მხოლოდ რუსეთზე იყოს დამოკიდებული. მე მგონი, „ნაბუქოს“ პროექტი არ გაუქმდება და საქართველოს უფრო მეტი პერსპექტივა აქვს „ნაბუქოში“, ვიდრე სომხეთს.

**ლევან ჟითანავა**

**◎ პრესკონფერენცია**

# ახალი სახალხო დამცველი რადიკალურ ცვლილებებს არ გაატარებს

**სახალხო დამცველის ოფისს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ეს პოსტი ორიოდე კვირის წინათ გიორგი ტუღუშმა დაიკავა, თუმცა იმ დროისთვის საქართველოში არ იმყოფებოდა და მედიის წარმომადგენლებს მხოლოდ გუშინ შეხვდა.** თავად აღნიშნა, რომ ჟურნალისტების მსგავს ინტერესს არ ელოდა, მაგრამ ახალი სახალხო დამცველის მიმართ პრესის მუშაკთა და არა მარტო მათი




ინტერესი გასაკვირი სულაც არ არის. ყველას კარგად ახსოვს გიორგი ტუღუშის წინამორბედის მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოზარ სუბარი ყველაზე წარმატებული სახალხო დამცველი იყო ამ ინსტიტუტის არსებობის მანძილზე. მის მიერ მომზადებული ანგარიშები ხშირად ანაწყენებდა ხელისუფლებას, და რაც ყველაზე დასაფასებელია, თითქმის არასდროს დამდგარა რომელიმე მხარეს.

მათ, ვისაც როდისმე დასჭირვებია სახალხო დამცველის დახმარება, იგი სამართლიანობის ერთადერთ გამოხატულებად აღუქვამს საქართველოში. ამიტომ რასაკვირველია, გიორგი ტუღუშს დიდი პასუხისმგებლობა მოეთხოვება, რათა სახალხო დამცველის ინსტიტუტმა არ დაკარგოს ავტორიტეტი საზოგადოებაში. სამომავლო გეგმებზე მან განცხადება სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. როგორც გიორგი ტუღუშმა აღნიშნა, ძირითადი პრიორიტეტები არ შეიცვლება. აქტიურად გაგრძელდება მუშაობა იმ სფეროებში, სადაც განსაკუთრებით ირღვევა ადამიანის უფლებები. ეს შეეხება ძირითადად სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

გიორგი ტუღუში, სახალხო დამცველი:

— ამ შენობაში ბოლო ერთი წელი გავატარე, ამიტომ გარემო ჩემთვის უცხო არ არის. რადიკალური ცვლილებების განხორციელებას არ ვგეგმავ. რა თქმა უნდა, რეორგანიზაცია მოხდება, მაგრამ რასაც ჰქვია ძველი აპარატის მთლიანად შეცვლა და თანამშრომლების მასობრივი დათხოვნა, არ ვაპირებ. ჩვენს აპარატს პრევენციის ჯგუფიც დაემატა, ამიტომ ამ მხრივ უფრო მოგვიწევს კადრების გადახალისება. ამ მომენტში ჩემთვის მნიშვნელოვანია წლიური ანგარიში, რომელსაც ოქტომბერში წარვუდგენ პარლამენტს. ნოემბერში კი მას განიხილავენ.

აქვე დასძინა, რომ სოზარ სუბარის მომზადებულ ანგარიშში თითქმის არაფერს არ შეცვლის, მხოლოდ შესავალს დაწერს თვითონ. მან დაასახელა თავისი მოადგილე. ამ პოსტს ტატა ხუნწარია დაიკავებს.

როგორ წარიმართება ახალი სახალხო დამცველისა და მისი აპარატის მოღვაწეობა, დრო და გაკეთებული საქმეების ხარისხი გვიჩვენებს.

**ანა წიწილაშვილი.**

ვაი მთავრობისგან

# საქართველოში ბიზნესი ისევე უმარტივესად კეთდება, როგორც უმარტივესად იჭმევა!

**არ შეარცხვინოთ ახლა ქართველ ხელისუფალთა შორის გავარდნილი რეიტინგი და არა იკითხოთ, რატომაო? ამას, ჩემო ბატონო, ოკეანისგაღმელი მსოფლიო ბანკის მიუკერძოებელი არბიტრები მიუკერძოებლად მიხვდნენ, როცა საქართველო ბიზნესის მარტივად კეთების ურთულეს დარგში მსოფლიო ქვეყნებს შორის თითქმის პირველ ათეულში შეიყვანეს და ახლაღა იმმუშნებით? დაგვიანებულია, ბატონებო, დაგვიანებული, მხრების ჩეჩვანი. ეს ამბავი ახლა ევროპის წამყვან ქვეყნებსაც აღარ უკვირთ და თქვენ რა დაგემართათ? ღმერთსა მადლი, იმავე არბიტრებმა დაიზარეს და საქართველოში მარტივი ბიზნესის კეთებასთან ერთად ფულის მარტივად ჭამის შედეგებიც არ შეაჯამეს, თორემ ჩვენი საქმიანი პრეზიდენტის უსაქმო ბაქიბუქი მაშინ გენახათ!**

თუმცა ქვეყნის მეთაური მიღწეულითაც კმაყოფილია და ოპოზიციის გულის გასახეთქად, რომელმაც სამთვიან ორთაბრძოლაში „ჩაისვარა", ახლო მომავალში, თუ რუსეთმა ახალ პროვოკაციაზე არ წამოაგო, მსოფლიოს პირველ ხუთეულში გადასასვლელად აქედანვე გულმოდგინედ ემზადება. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძველი სახელისუფლებო დევიზი – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!" მოძველებულად ჩათვალა და ის უახლესი გამოწვევების (ეს სიტყვა განსაკუთრებულად ევასებაძ შესაბამისად, ულტრათანამედროვე მოწოდებით – „საქმე ლაპარაკის პარალელურად!" – შეცვალა.

ასე არა სჯობს? აწი პრეზიდენტს ველარავინ დაადანაშაულებს – ეს კაცი ყბედობას გადაყვა, საქმის კეთება კი დაავიწყდაო. ნურას უკაცრავად, ამის საბაბს მიხეილ სააკაშვილი აღარავის მისცემს, ერთდროულად კიდეც ილაპარაკებს და კიდეც საქმეს დაბგოლავს. ყოველ შემთხვევაში, თუ ორივე ერთად არ გამოუვიდა, თვითონ ილაპარაკებს და სხვები საქმეს გააკეთებენ. ამის პრეცენდენტი უკვე ვნახეთ, როცა ხარაჩოებზე მომუშავე მშენებლების, ანდა საკონსერვო საამქროს გახსნის ფონზე, ტრიბუნაზე შემდგარი პრეზიდენტი ეკონომიკური და სოციალური აყვავების უახლესი მომავლის გეგმას გვაცნობდა. აღარაფერს ვამბობ ქუთაისსა და ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მშენებლობაზე, რასაც ქვეყნის მეთაურმა არაერთი შთამბეჭდავი გამოსვლა მიუძღვნა.

თუმცა, ვხედავ, პრეზიდენტის ქებამ იმდენად გამიტაცა, ლამის მთავარი სათქმელი გამომრჩეს. არადა, ალბათ, ბევრს აინტერესებს, როგორ კეთდება საქართველოში მსოფლიობანკელების მიერ მოწონებული მარტივი ბიზნესი და, ალბათ, კიდევ უფრო მეტს – როგორ ახერხებენ ქართველები მის ასევე მარტივად შეჭმას?

ერთმა ჩემმა მეგობარმა ეკონომიკის პროფესორმა ამ კითხვას სულ იოლად გასცა პასუხი – პიჯაკში ხელი ჩაიყო, უბის წიგნაკი ამოიღო, სათვალე მოიმარჯვა და რამდენიმე ციფრი დამისახელა. აი ნახეთ, თქვა მან, **მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ნაცები მოვიდნენ (ანუ 2003 წლიდან), სახელმწიფო ბიუჯეტში ეგრეთ წოდებული გაუშიფრავი ხარჯები კატასტროფულად – 1 მილიარდ 103 მილიონი ლარით (347,8 პროცენტით) გაიზარდა, იყო 445,2 მილიონი და გახდა 1 მილიარდ 548,2 მილიონი ლარი. იქვე დაამატა: გაუშიფრავი სახელად ჰქვია, ჩემო ბატონო, თორემ ვის ჯიბეში მოხვდა ეს თანხები, რა თქმა უნდა, ყველაზე იოლი გასაშიფრიაო (!).**

რაც შეეხება ბიზნესის მარტივად კეთებას, ამას საქართველოში საერთოდ გაშიფვრაც არ სჭირდება. ეკონომიკის ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, **„ჩვენი ხელისუფლება მარტივი პრინციპით იქცევა – მოშივდება და იწყებს ფულის მოპოვებას. ეს არ არის გადასახადების აკრეფა, არამედ ხარკის აკრეფას უფრო ჰგავს. ასეთ ვითარებაში კი, ჟარგონს თუ მივმართავთ, „ვაჭრობაც მოსულა". სწავლობენ ვითარებას და რისი გადახდაც შეუძლია რეალურად ბიზნესმენს, იმდენს ახდევინებენ. მეწარმეს ამ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ გადასახადებთან კი არა აქვს საქმე, არამედ სახელმწიფოსთვის ხარკის გადახდა უწევს".**

აი თურმე რეალურად რა იმალება საქართველოში ბიზნესის მარტივად კეთების უკან, რომელიც ჩვენს ოკეანისგაღმელ სპეციალისტებს ასერიგად მოეწონათ. თურმე ხელისუფლებას მოშივდება თუ არა, მაშინვე იწყებს ფულის მოპოვებას და ბიზნესისთვის ხარკის შეწერას. ამას არ სჭირდება სამუცნობიანი განტოლების ამოხსნა, მშიერმა, უფრო სწორად, მთავრობის უძღებმა მუცელმა ასე მოითხოვა – ეგ არის და ეგ მთელი ამ სიმარტივის ფილოსოფია.

ფაქტები გნებავთ? კი ბატონო, მე თქვენ გეტყვით, მოძებნა გაგვიჭირდება. აი, მაგალითად, აეროპორტის მმართველ კომპანია „ტავ ურბან ჯორჯიას", რომლის სანაქებო საქმიანობით თავის დროზე პრეზიდენტისგან ყურები გვქონდა გამოჭედილი, თურმე დაარსებიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტში გროშიც არ ჰქონია გადახდილი. ეს „გაუგებრობა" შემოსავლების სამსახურმა სრულიად შემთხვევით ახლაღა აღმოაჩინა (?!ძ და ჯიუტ გადამხდელს 50 მილიონი ლარის გადახდა დააკისრა. რა თქმა უნდა, კომპანიის მესვეურებსაც „აღმოაჩნდათ საპირისპირო არგუმენტები", რაც ფინანსთა სამინისტროსთან ვაჭრობის პროცესში ოპერატიულად გამოიყენეს და, როგორც სარწმუნო წყარო იუწყება, ჯარიმის თანხა 10 მილიონ ლარამდე შეამცირებინეს. უფრო ადრე ასევე მოიქცა ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნიკორა", რომელმაც იმდენად იმარჯვა, რომ 15-მილიონიანი ჯარიმა 4 მილიონამდე ჩამოაყვანინა.

უფრო სკანდალური გამოდგა „ელიტ-ელიქტრონისისთვის" გაბერილი ხარკის შეწერა, რასაც პროტესტად ქსელის დახურვა და ათასობით ადამიანის უმუშევრად დარჩენა მოჰყვა. როგორც ავი ენები ამბობენ, დასახელებულ კომპანიას ვიდრე ვანო მერაბიშვილი უწევდა „კრიშობას", ყველაფერი რიგიან-პირიანად მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ შორის „შავმა კატამ გაირბინა", საქმე ერთბაშად აიბურდ-დაიბურდა, რითაც მეორე სახელისუფლებო ძალამ მოსწრებულად ისარგებლა. ყველამ ნახა ტელევიზიით, გიგი უგულავა როგორი დამწუხრებული სახით ესაუბრებოდა ქუჩაში გამოსულ ელექტრონიქსელებს და მსუქან-მსუქანი დაპირებებით აპურებდა.

**რა შეიძლება დავარქვათ ყოველივე ამას – ბიზნესის მარტივად კეთება თუ მთავრობის მხრიდან ბიზნესმენთა თვალდათვალ დაყაჩაღება? ეკონომიკის ექსპერტთა მოსაზრებებს თუ მოვიშველიებთ, ის რისი მსხვერპლიც „ელიტ-ელექტრონიქსი", „ნიკორა" და „ტავ ურბან ჯორჯია" გახდნენ, სხვა არაფერია, თუ არა ბიზნესზე განხორციელებული სახელისუფლებო რეკეტი. უფრო უარესი ის**




**არის, რომ ამ ხვედრს მსხვილებთან ერთად ვერც საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები გადაურჩნენ. ამაზე მიუთითებს ჩვენს დედაქალაქსა და ქვეყნის რეგიონებში შემოსავლების სამსახურის მიერ ლუქდადებული ობიექტები, რომლებმაც ხარკის სიმძიმეს ვერ გაუძლეს და კარები გამოიხურეს.** ასეთ დროს, როგორც წესი, მიმდინარეობს დასახელებულ სამსახურთან მოლაპარაკება-გარიგებები, ფაქტობრივად, ვაჭრობა, რაც ყოველთვის ხელისუფალთა „გამარჯვებით" მთავრდება. ამას არც თაკილობენ და საჯაროდ აცხადებენ, გლობალური კრიზისის პირობებში ჩვენ შეუძლებელი შევძელით, ეკონომიკის ვარდნა შევაჩერეთ და სულ მალე მისი ზრდის მოწმენიც გავხდებითო.

ასეა, დღეს ქვეყანაში მთავარი ბიზნესმენი მთავრობაა, ხოლო წარმატებული ბიზნესმენები – სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენლები. უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ მთავრობის წევრები, რომლებსაც პრეზიდენტ სააკაშვილისგან ინვესტიციების შემოტანა აქვთ დავალებული, იმავე ინვესტიციებისა და ცალკეული ბიზნესმენებისგან სოლიდურ წილს იღებენ. და ყველაფერი ეს ისე მარტივად და ეფექტიანად კეთდება, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან მაღალი შეფასებაც კი დაიმსახურეს. ვერ დაამუნათებ, ეს წარმატება ხომ მათ დამსახურებულად მოიპოვეს (?!ძ.

**ოთარ ხუციშვილი.**

ოკეანის გაღმა

# ქართული „დო, რე, მი" ნიუ-იორკში

**ნიუ-იორკში, კერძოდ, მანჰეტენის აღმოსავლეთ დასახლებაში (East Village) მოქმედ წმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში თებერვლიდან საკვირაო „ნინოს სკოლაში" ამერიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ასაკის (5 წელი და ზემოთ) ქართველ ბავშვებს ქართულ ენას ასწავლიან. ქართული ენა ხომ მშობლიური მხოლოდ ამ პატარების დედებისთვის და მამებისთვისაა. ბავშვები ამერიკის მოქალაქეები არიან და, ამიტომაც, ფაქტობრივად, მათი დედაენა – ინგლისურია. სკოლაში უკვე დაახლოებით 30 მოსწავლეა რეგისტრირებული, თუმცა ქართული ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა ნელ-ნელა მატულობს. სკოლის დამფუძნებელი და პედაგოგი ნინო ჩოგოვაძე პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია და თავისი სკოლის გახსნამდეც ამერიკელ პატარა ქართველებს ქართულ ანბანს მის მიერვე შემუშავებული მეთოდით ასწავლიდა. სკოლის აღსაზრდელებს ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებს კომბინირებულად აწვდიან.**

პატარებმა იციან, რომ ისინი სიხარულს აგროვებენ. სკოლას მეორე პროექტიც აქვს, ისიც სასიხარულო, ოღონდ დასაგემოვნებელი და თანაც წიგნად აკინძული. მას ასე ჰქვია: „ჯანსაღი საკვები სწრაფად და გემრიელად", სადაც საკვები პროდუქტებიცა და მათი გამოყენების წესებიც ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე იქნება აღწერილი. პატარები საყვარელი კერძების მომზადების წესს მოიტანენ და წიგნიც სწორედ ამ რეცეპტი კი „უცხოელი" ბავშვებისთვის ადაპტირებული, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" საფუძველზე შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოა, ოღონდ მას ე.წ. ფოტო - ლექსიკონის სახე ექნება, სახელწოდებით „როგორ უნდა ვისწავლოთ ქართული ენა". წიგნში თითოეულ ასო-ბგერას ხუთი გვერდი დაეთმობა, სადაც ასო ქართულად და ინგლისურად იქნება ახსნილი. სულ წიგნი 170 გვერდს მოიცავს. ნინო მასწავლებელი მალე ქართული ენის სწავლა ინტერნეტითაც იქნება შესაძლებელი.

სკოლას თავისი ხელწერაც აქვს: გარდა სასკოლო პროგრამისა და გასვლითი გაკვეთილებისა, აქ „უცნაური", შემეცნებითი პროექტებიც ხორციელდება. გაკვეთილები ტარდება მუზეუმებში, თავისუფლების ქანდაკების კუნძულზე, სტუდია-სალონებში. სკოლას მოხალისე მასწავლებლებიც უერთდებიან. მაგალითად, ამერიკაში მცხოვებ ნოდარ ჯანჯღავას ამერიკის ისტორიაზე არაერთი საინტერესო მასალა აქვს მომზადებული. გასვლითი გაკვეთილების დროს წინასწარ სპეციალურად შერჩეული თემატიკა ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე მუშავდება და ილუსტრირებულ წიგნებად იკინძება.

ერთხელ ბავშვებს ხატვის გაკვეთილი თაბაშირის პატარა და დიდი ქანდაკებების სამხატვრო სალონში ჩაუტარდათ, სადაც უფროს-უმცროსი სასურველი ფერის შექმნასა და გაფერადებას სწავლობს, ხოლო ფერებთან დამეგობრების შემდგომ ნაწარმის სახლში წაღებაც არის ნებადართული. გაკვეთილსაც ფერწერულ-იმპრესიონისტულად ერქვა: „მე დღეს პიკასო ვარ". ნინო ჩოგოვაძის თქმით, „პიკასოს გაკვეთილის" მთავარი იდეა თამაშ-თამაშით, ქართულად ფერების სახელწოდებების სწავლა გახლდათ და, მართლაც, შემდეგი გაკვეთილისთვის პატარებმა სიტყვა „მწვანეც" იცოდნენ, „ყავისფერიც", „ლურჯიც" და „ნარინჯისფერიც". რაც შეეხება სკოლის არაორდინალურ პროექტებს, ისინი საქველმოქმედოცაა: მაგალითად, პროექტი „სიხარულის ყულაბა". პატარებს სახლში საკუთარი ფულის შესაგროვებელი ყუთი აქვთ და ყოველ ღამე იქ ხან წვრილ ხურდას ყრიან, ხანდახან – მეტსაც. ეს ფული და კიდევ სხვა ბევრნაირი საჩუქარი საქართველოში აგვისტოს ომგამოვლილ ბავშვებს გაეგზავნებათ. რასაკვირველია, ყულაბაში ჩაგდებული ფულის რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ბავშვს ამ „სიხარულის ყულაბაში" თუნდაც ერთი ცენტის ჩაგდება არ დაავიწყდეს.

ტების საფუძველზე შედგება ანუ წიგნის ავტორები თავად იქნებიან.

ერთ მშვენიერ დღეს ნინო მასწავლებლემა თავისი მოსწავლეები ნიუ-იორკის ქართულ რესტორან „თბილისში" წაიყვანა. „თბილისის" მზარეული ხათუნა ბალათურია კი ერთი დღით პატარების მასწავლებელი გახდა და გემრიელი ხაჭაპურის გამოცხობაც ასწავლა. ბავშვებმა იქვე, თავისი ხელით ცომი გააბრტყელეს, ყველი ჩადეს, გამოაცხვეს, თავიანთი სახელები დააწერეს და მიირთვეს. „შემდგომ კი ჯადოქრობა" შინ განაგრძეს. ვისაც დიდად არ გამოსდიოდა, ის უფრო იოლზე - მჭადის გამოცხობაზე გადადიოდა...

„ნინოს სკოლის" მთავარი პროექთვლის, რომ პატარებისთვის საჭიროა ცალკე დაიწეროს პირის ღრუს სავარჯიშოები, ენის გასატეხები, რადგან ასეთ ბავშვებს ენის ჩვეულებრივი სწავლების გარდა კიდევ სხვა ბევრი უნარ-ჩვევა სჭირდებათ. ადაპტირებული „დედა ენა" საქართველოში დაისტამბება.

„ნინოს სკოლის" ფილიალი ფილადელფიაშიცაა, ნიუ-იორკში კი, მანჰეტენის გარდა, იგი ბრუკლინშიც იმუშავებს. მის ბაზაზე ქორეოგრაფიული ჯგუფი ფუნქციონირებს (პედაგოგები მირანდა გაბუნია და გოჩა სიხარულიძეძ.

იხ. 6 გვ.

ოკეანის გაღმა

(მეხუთე გვერდიდან)

ამას წინათ კი ბროდვეისა და ცენტრალ პარკის გადაკვეთზე მდებარე ერთ-ერთი სასწავლო პორტალის დარბაზში (West side YMCA) „ნინოს სკოლის“ ინიციატივით პირველად ამერიკაში ქართული სიმღერის კონკურსი სახელწოდებით „დო, რე, მი“ ჩატარდა. კონკურსს ნინო ანანიაშვილი ოჯახთან ერთად ესწრებოდა. ქართველმა ბალერინამ სკოლის მუზეუმს თავისი პუანტები აჩუქა, კონკურსის პირობით კონკურსანტებს თავისი ნომერი „ფონოგრამა მინუსით“ უნდა წარედგინათ, თუმცა შემსრულებლებს აქაც სრული თავისუფლება ჰქონდათ: ზოგმა იგი ამერიკაში „ვანო გოდერძიშვილის სტუდიაში“ ჩაწერა, ზოგმა – საქართველოში, ზოგმა გიტარისა და ფორტეპიანოს თანხლებით იმღერა, ზოგმაც – აკაპელა.

საღამო 5 წლის ნინო ინასარიძემ გახსნა, რომელმაც „იმერული მგზავრული“ შეასრულა. ბავშვები ქართულ სიმღერებს უცხოური აქცენტით „გამოთქვამდნენ“, მაგრამ იმ საღამოს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მახვილს ვინ, სად და როგორ დასვამდა. აი, მაგალითად, „დო, რე, მი“-ს გამარჯვებულმა მარიამ ჩუბინიძემ ქართული სიმღერის მომზადება ვერ მოასწრო, მაგრამ იმდენად ნიჭიერად შეასრულა იგი, რომ ჟიურიმ პირველი ადგილი უყოყმანოდ მიანიჭა. კონკურსის პირობები რთული არ იყო. მთავარი ვოკალური მონაცემები და მონაწილეობის სურვილი გახლდათ. გამარჯვებული კი „ნინოს სკოლის“ დაფინანსებით საქართველოში, კონკურსის „ანა-ბანას“ შესარჩევ ტურში მონაწილეობის მისაღებად უნდა გაგზავნილიყო. მარიამ ჩუბინიძე გარდა ამ კონკურსისა, სხვა საინტერესო და პრესტიჟულ სცენებზეც გამოდის, მათ შორის – ჰოლივუდის წითელ ხალიჩაზეც. მოხდა ისე, რომ „ანა-ბანას“ კონკურსისათვის მისი ასაკი – 14 წელი მისაღები არ აღმოჩნდა, მაგრამ არა უშავს. „ნინოს სკოლა“ მარიამისთვის სპეციალურ სიმღერას დაწერს და კლიპსაც გადაიღებს. გაისად კი 2009 წლის გამარჯვებული არტისტი „დო, რე, მი-2010“-ის გამარჯვებულს პრიზს თავად გადასცემს და ახალი სიმღერის პრემიერაც სწორედ იქ შედგება.

კონკურსი დამთავრდა, მაგრამ საღამო გაგრძელდა. პატარებმა ნინო მასწავლებლის მიერ ბავშვებისთვის სპეციალურად დაწერილი სცენარის მიხედვით სპექტაკლი, სახელწოდებით „საქართველოში“, გასაკვირი არტისტიზმით გაითამაშეს. მოსწავლეები, რომლებიც სულ რამდენიმე ხნის წინათ ერთ ქართულ სიტყვასაც ვერ წარმოთქვამდნენ, ახლა ქართული „პიესის“ მსახიობები გახდნენ. სცენარი არაორდინალური იყო და თანაც მასში ყველა ცეკვავდა. მთავარი მოქმედი გმირი კი მგელი იყო, რომელმაც ცხოვრების წესი შეიცვალა, ცხოველებსა და ადამიანებს შესასანსლად აღარ დასდევს, ბოლოში მოსახდელად კომბლესკენ გაეშურება, მაგრამ კომბლეს მისი არ სჯერა. ამიტომ მგელს თავისი ვეგეტარიანობის დასამტკიცებლად მოწმეების მოყვანა დასჭირდა. მოწმეებმა კი – ბეკეკებმა, წითელქუდამ, გოჭებმა – კომბლეს მგლის გაკეთილშობილება მართლაც დაუდასტურეს. მერე კი საქართველოში წასვლა გადაწყვიტეს, იმ იმედით, რომ იქნებ გამოსწორებულ მგელს სხვებმაც მიბაძონო. ბოლოს და ბოლოს კომბლე სანდო მოწმეების გამო მგელს უჯერებს, მერე კი სცენაზე ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დინოზავრი გამოჩნდა, რომელიც ქართულად ლაპარაკობს... დინოზავრმა, რომელსაც ფიჭიკო ერქვა, მოგვითხრო, რომ რამდენიმე მილიონი წლის წინათ საქართველოში იყო, რომ ბაბუამისის ნაკვალევი დღესაცაა სათაფლიის გამოქვაბულში, იქაურობა თურმე ძალიან შეუყვარდა, ჰოდა, ამისა და კიდევ ქართული ენის ცოდნის დასამტკიცებლად დინოზავრმა ლადო ასათიანის „ჩემი ოქროს ქვეყანა“ და „სალალობო“ წაიკითხა. დინოზავრთან ერთად ყველას მოუნდა საქართველოში გამგზავრება, მაგრამ ბატონმა კომბლემ მათ ქართული ენის ცოდნა მოსთხოვა. აღმოჩნდა, რომ ეს სულაც არ ყოფილა ასეთი ძნელი, მთავარია მონდომება, რა გინდა სული და გული რომ არ იცოდნენ. სპექტაკლის ბოლოს ქართული ენის მოყვარულთა გუნდს ამერიკული ზღაპრის გმირი, ყველასათვის საყვარელი – პატარა მაიმუნი, სახელად „ცნობისმოყვარე ჯორჯიც“ შეემატა და ისიც საქართველოში წასვლის სურვილით ქართულად ალაპარაკდა...

მინდოდა ჩემი აღსაზრდელებისთვის ერთი ლამაზი დღე მეჩუქებინა და ისეთი რამ მომეწყო, რაც ამერიკის ქართულ თემში არასოდეს გამართულა, რაც ბავშვებს უფრო შეკრავდა, ერთმანეთთან დააკავშირებდა და ინტერესსაც გაუჩენდა – ამბობს ნინო მასწავლებელი. – მინდოდა ამერიკაში ქართველ ბავშვებს ქართული სიმღერის კონკურსი ჰქონოდათ.

**– როგორი გამოხმაურება ჰქონდა „დო, რე, მი“ -ს გაცხადებას?**

– უცხოეთში ქართული კონკურსისთვის სახელის შერჩევა არც ისე ადვილი საქმეა. მინდოდა მარტივი, სადაც სახლის პირველი სართული დაგვითმო. ორი მონაწილე ზაქარია და იოსებ იაჰიები დედამ ფლორიდიდან სპეციალურად ჩვენი კონკურსისთვის ჩამოიყვანა. მათ ფონოგრამის ჩაწერა ვერ მოასწრეს, ამიტომ დედამ თათია ქობალიამ „დახმარება“ გიტარის აკომპანიმენტით გაგვიწია. კურიოზიც გვქონდა: პატარა იოსებმა გადაწყვეტილება სიმღერის შესრულების შესახებ შეცვალა და არაფრით გვიმღერა. როგორ არ ვეცადეთ, ცოტა მოგვიანებითაც გამოვიყვანეთ სცენაზე, მაგრამ პრინციპული ვინმე აღმოჩნდა.

**– რა ნომინაციები დააწესეთ?**

– ჩვენ კონკურსზე სხვადასხვა სახის ნომინაციები და დიპლომები გვქონდა. „საუკეთესო დებიუტი“, „საუკეთესო ჩაცმულობა“, „ორიგინალური ნომერი“, „საუკეთესო უცხოური სიმღერა“, „საუკეთესო ღიმილი“, „საუკეთესო პლასტიკა“, „მაყურებლის სიმპათია“, „საუკეთესო ვოკალი“ და ა.შ. ყველა შემსრულებლისთვის ნომინაცია კი გვქონდა, მაგრამ ერთი რამ „დაგვავიწყდა“ – ნომინაცია „ყველაზე მორცხვი შემსრულებელი“, რომელსაც იოსებს მივანიჭებდით. კონკურსში გამარჯვებულმა 13 წლის მარიამ ჩუბინიძემ შეასრულა ორი ურთულესი, უცხოური სიმღერა „Popular“ და სიმღერა ფილმ „ტიტანიკიდან“ „My Hearth Will Go On“. მარიამი ა.წ. იანვრიდან ჰოლივუდის „International Perfoming Art“-ის შერჩევით ტურში იყო დარეგისტრირებული. ამ კონკურსში 8 წლის ასაკიდან 60 წლის ასაკამდე მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია. იგივე პრინციპით ჩვენც ვიხელმძღვანელეთ, რადგან ჩავთვალეთ, რომ სიმღერის ნიჭი ასაკით არ განისაზღვრება. სხვათა შორის, მარიამმა იგივე სიმღერა ჰოლივუდშიც შეასრულა და სახელწოდება და თანაც სკოლის პირველი ნაბიჯების შესაბამისი და მოვიფიქრე კიდეც – მუსიკალური გამის პირველი ნოტები „დო, რე მი -2009“. კონკურსის შესახებ აქ გამომავალი ქართული გაზეთებისა („მამული“, „ერთობა“) და ინტერნეტის საშუალებით გაცხადდა. ვინაიდან განცხადება მარტში გაკეთდა და კონკურსი კი რამდენიმე თვეში იგეგმებოდა, ამიტომ კონკურსში მონაწილეთა მსურველებს თითქმის ბოლო წუთამდე ვიღებდით. სულ 13 მონაწილე შეგროვდა და 15 საკონკურსო ნომერი შესრულდა. ეს ციფრი პირველი კონკურსის პირობაზე, თუ გავითვალისწინებთ კონკურსისთვის მზადების მოკლე ვადას, წარმატების საწინდარია.

**– მხოლოდ ნიუიორკელები მონაწილეობდნენ?**

– არა. ფილადელფიიდან ორი შემსრულებელი ჩამოვიდა, უფრო სწორად სამი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთი ავად გახდა. მათ თავიანთი ნომრები ფორტეპიანოს აკომპანიმენტით შეასრულეს. აკომპანიატორი ქალბატონი ეკა გაბუნიაა და მართლაც ძალიან საინტერესო ნომრები გამოვიდა. სხვათა შორის, ამ ქალბატონმა „ნინოს სკოლის“ ფილადელფიის ფილიალისთვის თავისი



მას მესამე ადგილი ხვდა წილად. გარდა ამისა, მან პირველი ადგილი ფოტოგენურობასა და სცენურ პლასტიკაში აიღო. ალბათ, ადვილი წარმოსადგენია 13 წლის ასაკში თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ წარმატებულ დებიუტს. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მარიამი ქართველია... მეორე, მეტად საინტერესო ფაქტი ის იყო, რომ ჟიურის წევრებმა წესები „დაარღვიეს“ და ერთ-ერთ მონაწილეს ორი ნომინაცია გადასცეს. უნდა მოგვიტევოთ, სხვანაირად არ შეიძლებოდაო, გვითხრეს მათ და, რა თქმა უნდა, ჩვენც „მივუტევეთ“. მარიამ ნიჟარაძე ორი ნომინაციის – „ყველაზე ორიგინალური ნომერი“ და „საუკეთესო პლასტიკა“ – მფლობელი გახდა. მან „ოდელია რანუნი“ და „You Are My Sunshine“ იმღერა და ჩვენდა გასაკვირად, ნამდვილი საცეკვაო შოუც წარადგინა. „ოდელია რანუნის“ დროს ისეთი საცეკვაო ილეთები აჩვენა, მხოლოდ კარგ მოცეკვავეს რომ შეუძლია. 5 წლის ნინო ინასარიძე „საუკეთესო დებიუტით“ დაჯილდოვდა; 6 წლის ეშლი შალამბერიძე „საუკეთესო ვოკალის“ ნომინანტი გახდა; ნომინაცია „საუკეთესო ღიმილი“ ალეკო გაბუნიას ხვდა წილად. მან არაჩვეულებრივად შეასრულა სიმღერა „ჩიტო გვრიტო“ და ისეთივე კოსტიუმი ეცვა, როგორც ვახტანგ კიკაბიძეს „მიმინოში“. „ჟიურის სიმპატია“ – ზაქარია იაჰიამ მიიღო, ხოლო მარიამ ხომერიკმა – „საუკეთესო ჩაცმულობა“. მარიამ ხელაშვილმა „როცა ჩაქრება ჭადრებში“ და სიმღერა კინოფილმიდან „მანანა“ ძალიან კარგად შეასრულა და ამიტომაც „საუკეთესო შესრულება“ ხვდა წილად. 12 წლის თათია გუგეშაშვილმა „სიმღერა საქართველოზე“ იმღერა და „მაყურებლის სიმპატიის“ ნომინანტი გახდა. ნიკალა მეტრეველმა არაჩვეულებრივი ოსტატობითა და ქართული ჟინით სიმღერა „შავლეგო“ გვიმღერა და დაჯილდოვდა კიდეც ნომინაციით „მე პატარა ქართველი ვარ“. ახლა კი წარმომიდგენია, როგორ გაუხარდებათ პატარებს, როცა გაიგებენ, რომ მათი წარმატებების შესახებ მათი მშობლების სამშობლოში, შორეულ, მაგრამ მაინც ახლობელ საქართველოშიც გაიგებენ...

# ქართული „დო, რე, მი“ ნიუ-იორკში



ალეკო გაბუნია



ეშლი შალამბერიძე



ნინო ინასარიძე



მარიამ ნიჟარაძე

**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ სპეც. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

ქალის თავის სამარხი

# რითი მოთაფლა მოსკოვმა უგო ჩავესი

**რუსეთში ახლახან ვიზიტად ბრძანდებოდა ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი. მასპინძელმა დიმიტრი მედვედევმა ის თავის რეზიდენცია „ბარვიხაში“ მიიღო.**

– ჩვენი ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე ამყავს! – ჩააკერა საუბარში ნავთობში მცურავი ქვეყნის პირველმა პირმა – ვენესუელა უერთდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას.

– ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ეს არის სახელმწიფოთა სუვერენული საქმე: აღიარონ თუ არ აღიარონ საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტები; თუმცა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სულ ერთი როდია ამ სახელმწიფოთა (? – **თ.ე.**ძ ბედი. მადლობას გიხდი ასეთი გადაწყვეტილებისათვის (ეს ორი ლიდერი ერთმანეთთან „შენობით“ ყოფილა – **თ.ე.**ძ, – მიაგება სტუმარს ნასიამოვნებმა დამხვდურმა...

ჩვენი ძველი „კეთილისმყოფელის“, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის კონსტანტინე ზატულინის აზრს გავეცნოთ:

– არა მგონია, თითქოს რუსეთს რაიმე ზეწოლა მოეხდინა ვენესუელაზე ან რაიმე სიკეთეები აღეთქვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების სანაცვლოდ... ამ რესპუბლიკებს მშვიდი და უხიფათო ცხოვრებისათვის რუსეთის აღიარებაც ეყოფათ...

ასეა ვითომ ბატონო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ინსტიტუტის დირექტორო და საქართველოს სტაჟიანო მტერო? იმ ციფრებზე რას იტყვით, თქვენივე რუსეთული პრესა რომ ამზეურებს: იარაღის შესასყიდად მოსკოვი ვენესუელას სესხად აძლევს 2,2 მილიარდ (ორ მილიარდ ორას მილიონ!ძ დოლარს. აქამდე არნახული რამ ხდება: პატარა (მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, ყელამდე ნავთობში მდგარიძ ვენესუელა ბოლო წლებში რუსებისგან იძენს (მათსავე ფულებით!ძ მეტ იარაღს, ვიდრე ტრადიციული გიგანტი მყიდველები ჩინეთი და ინდოეთი!



2007-2008 წლებში კარაკასს მიეყიდა 4 მილიარდი დოლარის საომარი ტექნიკა, ახლა კი, როგორც უკვე ითქვა, მოსკოვი კიდევ 2,2 მილიარდ დოლარზე დაჰპირდა საიარაღე კრედიტს... ვენესუელამ უკვე მიიღო 100 ათასი ავტომატი AK-47, მოელის 24 გამანადგურებელს СУ, 50 ვერტმფრენს МИ (ნაირ-ნაირს!ძ, სარაკეტო კომპლექსებს, საპატრულო კატერებს, წყალქვეშა ნავებს, სატრანსპორტო თვითმფრინავებს... უგო ჩავესი 3 წელიწადში 30 მილიარდი დოლარის დახარჯვას გეგმავს ხელახლა შეიარაღებაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთელი „თავდაცველები“ ლოცულობენ უგოზე და იმის კონტრაქტებზე; ოღონდ აქვე უჩნდებათ კითხვა – ასეთი დატვირთვისას როგორ მოასწრებენ რუსეთის არმიისთვისაც დაკვეთების შესრულებას?

რას იტყოდა ყოველივე ამაზე ბატონი კონსტანტინე? ხომ არ მივიჩნიოთ ეს ყველაფერი შეფარულ თუ შენიღბულ ზეწოლად სენიორ უგოზე მოსკოვის სურვილების შესასრულებლად? აქ ხომ არ არის დამარხული ძაღლის თავი?

ვაითუ განებივრებულმა და შეიარაღებულმა კარაკასის მეპატრონემ ისე შეტოპოს აღიარებაში, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მიაყოლოს ჩეჩნეთი, ინგუშეთი, თათრეთი, ბაშკირეთი, იაკუტია... მაშინ?..

**თამაზ ეზანოიძე.**

ვულოცავთ!

# ერის სიცოცხლეს მიყურადებული

**ცნობილ ქართველ დემოგრაფს, პროფესორ ანზორ თოთაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. 40 წელია იგი დაუღალავად იკვლევს ეკონომიკისა და სოციოლოგიის პრობლემებს, მაგრამ განსაკუთრებული აღიარება დემოგრაფიულ პრობლემებზე შექმნილმა ნაშრომებმა მოუტანა. ბევრი მისი ნაშრომი აქტუალურ ეროვნულ სატკივარზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნებად გამოიცა.**

ანზორ თოთაძე – 70



ბატონ ანზორის გამოკვლევებს დიდი რეზონანსი აქვთ. ზოგიერთი მათგანი გამოცემულია ინგლისურ და რუსულ ენებზე ნიუ-იორკში, ლონდონში, მოსკოვში, პეტერბურგსა და ბაქოში. მისი მონოგრაფია „აფხაზეთის მოსახლეობა. ოსები საქართველოში", როგორც ოფიციალური დოკუმენტი, გავრცელდა (რუსულ და ინგლისურ ენებზეძ ჰააგაში კონფლიქტოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ჟენევაში გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებზე და ევროსაბჭოს „დემოკრატთა სამართლის მეშვეობით" კომისიის წევრთათვის. ამჟამად ნიუ-იორკში იბეჭდება პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძესთან ერთად შესრულებული სქელტანიანი ნაშრომი „კავკასიის მოსახლეობა".

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეცნიერის პუბლიცისტური წერილები. იგი ლიტერატურულ-ისტორიული წყაროების, მდიდარი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პუბლიცისტური ოსტატობით წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ისტორიულ და თანამედროვე პრობლემებს, განგაშს ტეხს ქართველი ერის გამრავლების მძიმე ვითარების გამო, რამაც თავი იჩინა უკანასკნელ წლებში. ასევე აღსანიშნავია მისი წერილები მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე, ეროვნულ ღირებულებებზე.

აღსანიშნავია ბატონ ანზორ თოთაძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა. ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თეორიული ეკონომიკის, სტატისტიკისა და დემოგრაფიის დისციპლინებში. იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი, ამჟამად არჩეულია აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად, რომელიც ხარისხებს ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტოლოგიაში. არის ჟურნალების „დემოგრაფიისა" და „კომერსანტის" მთავარი რედაქტორი.

ათი წლის წინათ, 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ბატონმა ანზორმა ჟურნალისტის კითხვაზე: „ისე ახალგაზრდულად გამოიყურებით, ეტყობა, ვერაფერს გაკლებთ დროთა სვლა და ცხოვრების თავდაღმართსაც ვერ გრძნობთო", უპასუხა: „თუ ბერძენი მოაზროვნის პითაგორას ასაკობრივ კლასიფიკაციას ვერწმუნებით, ზუსტად ახლა, 60 წლის ასაკში მიდგას ძალებისა და შესაძლებლობების აყვავების ხანა, რაც შეეხება კითხვას, ვგრძნობ თუ არა თავდაღმართს, თუ მას ოცი წლით გადამივადებ, დაგიმადლებ და გარწმუნებ, მაშინ დადებითად გიპასუხებ, თანაც, ალბათ, სალაპარაკოც მეტი მექნება. თუ აყვავების ხანა ახლა მიდგას, ნაყოფიც ხომ უნდა ვიხილოთ?"

სალაპარაკო ჩვენს იუბილარს, მართლაც, ბევრი აქვს, მაგრამ აყვავების ხანა კი ისე, როგორც ჩვენს სხვა გამორჩენილ მოღვაწეებს, ჩაუშხამეს. როგორც იტყვიან, „მზე დარჩა გაღმით", სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, არავის დააცალეს აყვავების ხანაში დაგროვილი ცოდნის ნაყოფის მოკრეფა. ჩვენი უპირველესი დემოგრაფი დემოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელიც არ არის – ასე ისურვეს საკონკურსო კომისიის წევრებმა – გიგი თევზაძის მიერ მივლინებულმა პოლიტკომისრებმა: გია ნოდიამ და ლევან თარხნიშვილმა ინსტიტუტში მოკალათებულ შედარებით ახალგაზრდა „ფრთასთან" ერთად. არადა, სწორედ უკანასკნელ ხუთ წელიწადში ბატონმა ანზორ თოთაძემ ხუთი მონოგრაფია გამოსცა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე და არაერთი შესანიშნავი სტატია გამოაქვეყნა ჩვენთან და უცხოეთში.

იუბილარს ვუსურვებთ მრავალ წელს ჯანმრთელ სიცოცხლეს, დაგროვილი ცოდნის ნაყოფის კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით კრეფას.

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.**

ფეხსაცმელსროლიები

# ჭაფანძე — ქართველი აზ-ზეიდი

**შარშან, დეკემბერში, ერაყელმა მუნთაზერ აზ-ზეიდიმ ფეხსაცმელი გაუქანა მისი სამშობლოს მოსტუმრე და მაოხარ ჯორჯ ბუშს. აშშ-ის პრეზიდენტზე „იერიშისათვის" ტელეჟურნალისტს სამწლიანი ტუსაღობა მიესაჯა: მერე ეს ვადა ერთ წლამდე შეუმცირეს, ახლა კი სულაც გაანთავისუფლეს სამაგალითო ქცევისათვის – რამდენიმე დღის წინათ გამოვიდა საპატიმროდან.**



„ბედნიერება არ ჩანდა და უბედურება მომეშველაო" – აზ-ზეიდის ეთქმის. ისე ეტყობა, რომ ერაყელი ბათინკა მტყორცნელი მუსულმანური სამყაროს კერპი ხდება: მშობლიური ტელეარხი ჯერ იყო და თავის თანამშრომელს პატიმრობისას სისტემატურად უხდიდა ხელფასს, მერე ადგა და ვილაც შეუძინა – ორსართულიანი, ბაღდადის პრესტიჟულ კვარტალში მდგარი; ერთ-ერთი პალესტინელი შეიხი პატარძალს ჰპირდება, უზარმაზარმზითვიანსა და ულამაზესს; კატარის პრინცი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აღუთქვამს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ხარჯებს... მოკლედ, ამ კაცს შეუძლია ცხოვრებაში აღარაფერი აღარ აკეთოს... შვილების გარდა.

ეგ ჰო, მაგრამ როგორ იქნება ქართველი „აზ-ზეიდის", 31 წლის ქვრივისა და სამი პატარა შვილის მამის ჯუმბერ ჭაფანძის საქმე? მკითხველს შევახსენებთ, რომ 30 აგვისტოს განმუხურში ბუნგალოების გახსნაზე (რას გამოტოვებდა!ძ ჩასულ მიხეილ სააკაშვილს მან პირდაპირ შუბლში სტყორცნა ფეხსაცმელი. საოცარი ოპერატიულობით პირველ სექტემბერს, ღამის (დილის?ძ 4 საათზე ფარულად შემდგარმა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ჩუბინს შვიდწლიანი (!ძ პატიმრობა მიუსაჯა.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ახლო ხანში დაისვას მისთვის სასჯელის შემსუბუქების საკითხი ან პრეზიდენტი შემწყალებლობის ტალღაზე გადაერთოს – როგორც ამ დღეებში გამოირკვა, ის უფრო მკვლელებსა და ბანდიტებს ათავისუფლებს. აქ სხვა რამეს შევნიშნავ: ჩვენს ოლიგარქთა შორის არიან, ალბათ, გულ და ფულმოწყალენი და თუ ბატონი მიხეილის რისხვას არ შეუშინდებიან, ეგებ გადაიღონ მუსულმან ქველმოქმედთაგან მაგალითი და სოფელ დარჩელში დარჩენილ 80 წელს მიტანებულ ნელი თოდუასა და მის სამ მცირეწლოვან შვილიშვილს მიხედონ, დაეხმარონ – შვიდი წლით ასე შეუბრალებლად და წინგაუხედავად ციხეში გამომწყვდეული ჯუმბერ ჭაფანძის დედასა და შვილებს... უდედო პაწიებს...

**თამაზ ებანოიძე.**

ინფორმაცია

## პრეზიდენტს მკვლელები და მათი მსხვერპლნი ერთმანეთში ერევა



**დეპუტატი** გია ცაგარეიშვილი პრეზიდენტს მიმართავს კითხვით, თუ აქციაზე ოპოზიციას რომელი მკვლელების სურათები ჰქონდა გამოფენილი. ეს განცხადება ცაგარეიშვილმა გუშინდელ სესიაზე გააკეთა. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინათ შეწყალებული პატიმრის მიერ პოლიციელების დაჭრისა და მკვლელობის დღეს "პრეზიდენტის განცხადება იყო აღმაშფოთებელი. ამის მიზეზად კი ცაგარეიშვილი იმ ფაქტს ასახელებს, რომ მაშინ სააკაშვილმა თქვა, რომ ეს ფაქტი იმიტომ მოხდა, აქციაზე ოპოზიციას მკვლელების სურათები ჰქონდა გამოფენილიო.

– ბატონო პრეზიდენტო, ვინ იყო მკვლელი, გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი თუ ირინა ენუქიძე, რომელმაც შვილის სიკვდილი ვერ გადაიტანა, - კითხულობს ცაგარეიშვილი.

მისი თქმით, პრეზიდენტის ასეთი მიდგომა საზოგადოების აღშფოთებას კიდევ უფრო მეტად იწვევს და მიიჩნევს, რომ ქვეყნის მეთაური საკუთარ განცხადებებს მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს.

ამასთან, იგი ეთანხმება ოპოზიციის მოთხოვნას პატიმართა შეწყალების ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, რადგან, მისი თქმით, იგი როგორც შეწყალების კომისიის ყოფილი წევრი თავად არის მომსწრე იმ ფაქტისა, ეს პროცესი როგორ მიმდინარეობდა. – ამ კომისიაში პროკურატურის აჩრდილი მუდმივად ტრიალებს და ეს უნდა შეწყდეს, – აცხადებს ცაგარეიშვილი.

## შეიქმნას კომისია პრეზიდენტის საქმიანობის შესასწავლად

**დეპუტატი** ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო ოპოზიციას კიდევ ერთხელ სთხოვს ხელი მოაწერონ მის განცხადებას, რომლის თანახმად, ოპოზიცია პარლამენტის თავმჯდომარეს პრეზიდენტის საქმიანობის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოსთხოვს. ეს განცხადება ბაღათურიამ ჯერ კიდევ წინა სასესიო კვირას წარმოადგინა, მაგრამ გუშინდელ სესიაზე განცხადება დიმიტრი ლორთქიფანიძის მოთხოვნამ შეწყალების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ საკუთარი განცხადება გაახსენა და კოლეგებს მოუწოდა, რომ მას განცხადებაზე ხელი მოუწერონ.



ბაღათურიას თქმით, პრეზიდენტობის საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის შემთხვევაში შეწყალების საკითხიც იქნება გამოძიებული და ოპოზიციას მიმართავს, რომ მის განცხადებაზე ხელმოწერა უფრო უპრიანი იქნება.

## ზოდელავა და კუბლაშვილი ოპოზიციის წინააღმდეგ

**საპარლამენტო** უმრავლესობის წარმომადგენელი პავლე კუბლაშვილი შეწყალებული პატიმრის მიერ პოლიციელის მკვლელობას ოპოზიციის ლიბერალური მიდგომის შედეგად მიიჩნევს და ოპოზიციას არათანმიმდევრულობას საყვედურობს. ეს განცხადება კუბლაშვილმა გუშინ სესიაზე პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი რატი რეხვიაშვილის შეწყალების პროცესზე გამართული დებატებისას განაცხადა.

მისი თქმით, შეწყალებისადმი ლიბერალური მიდგომა ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა და ამას მუდმივად მხარს უჭერდა ოპოზიცია.

კუბლაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ოპოზიციამ დაასახელა სამი დანაშაული, რისთვისაც სასჯელს იხდიდა რატი რეხვიაშვილი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ სამივე დანაშაულზე არსებული მუხლების ამნისტირებას, სწორედ ოპოზიცია ითხოვდა.

– ეს არის თქვენი პოლიტიკა, ყველაფერი ეს იწყება ამ მიდგომებიდან, – განაცხადა კუბლაშვილმა.

კუბლაშვილის თქმით, პოლიციელებისა და რატი რეხვიაშვილის შემთხვევა დამნაშავის ლიკვიდაციით რომ დასრულებულიყო, ოპოზიცია იტყოდა, რომ რატი რეხვიაშვილი არის მორიგი ვაჟკაცი, რომელიც პოლიციას შეეწირა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მურთაზ ზოდელავას შეფასებით, შეწყალებისადმი ლიბერალური მიდგომით ოპოზიცია არ უნდა სპეკულირებდეს.

ზოდელავას განცხადებით, ოპოზიციას უნდა ახსოვდეს, რომ შეწყალებისადმი ლიბერალური მიდგომა ოპოზიციასა და საზოგადოებასთან კონსენსუსის საგანი იყო და ახლა სპეკულირება არასწორია.

მისი თქმით, პრეზიდენტს საკითხისადმი აბსოლუტური ლოგიკური მიდგომა ჰქონდა და ისიც ნათელია, რომ ლიბერალური მიდგომა გარკვეული რისკების შემცველია.

ჯი-ეიჩ-ენი

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 2009/10 სასწავლო წელს აცხადებს მიღებას სადოქტორო პროგრამებზე შემდეგი სპეციალობებით:**

- აკადემიური გუნდის დირიჟორობა
- კომპოზიცია
- საკონცერტმაისტერო დაოსტატება
- კამერული ანსამბლი
- სოლო ფორტეპიანო
- სოლო აკადემიური სიმღერა
- საორკესტრო სიმებიანი საკრავები (ვიოლინო, ჩელოძ
- საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, საყვირი, ვალტორნაძ
- მუსიკოლოგია (ქვესპეციალობები: „მუსიკის თეორია", „მუსიკის ისტორია", „ეთნომუსიკოლოგია", „საეკლესიო მუსიკა", „საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია"ძ

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე 24 სექტემბრიდან 11-დან 17 საათამდე (ოთახი № 219ძ. საბუთების მიღება შეწყდება 24 ოქტომბერს 16 საათზე.

დაწვრილებითი ცნობები იხ. კონსერვატორიის ვებ-გვერდზე ან მიმართეთ დოქტორანტურის საქმეთა მართვის სამსახურს.

ტელ: +(995 32ძ 935260

გრიბოედოვის ქ. 8/10

0108

www.conservatoire.edu.ge

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ აპირებს დაიცვას საქართველოს მთლიანობა მოსკოვის ზემოქმედების მიუხედავად

**სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა დაარწმუნა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც ყველაფერს გააკეთებს თავის შესაძლებლობის ფარგლებში, რათა სხვა ქვეყნებმა არ აღიარონ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა.**

სააკაშვილი ჩავიდა ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიაზე. ელოდებიან, რომ 24 სექტემბერს იგი გაეროს ტრიბუნიდან გამოვა 20-წუთიანი სიტყვით.

რას განიხილავდნენ კლინტონი და სააკაშვილი შეხვედრაზე? ამის შესახებ ჟურნალისტებს უამბო სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონმა.

„ჰილარი კლინტონმა ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის თანამიმდევრული და გადამჭრელი მხარდაჭერა. სახელმწიფო მდივანმა აშკარად განუცხადა ქართველებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებენ და არც აპირებენ აღიარონ სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი, და რომ ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას საერთაშორისო გაერთიანების სხვა წევრებთან, რათა მათაც არ აღიარონ ისინი. როგორც მოგეხსენებათ, დღეისათვის რუსეთის გარდა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარეს მხოლოდ ნიკარაგუამ და ვენესუელამ“, — განაცხადა მან.

„მიუხედავად რუსეთის ზემოქმედებისა, რომელიც ცდილობს მიაღწიოს მსოფლიოში რესპუბლიკების აღიარებას, საერთაშორისო გაერთიანების 99 პროცენტმა ისინი არ აღიარა. და ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს ქართველ მეგობრებთან, რომ ეს არ დავუშვათ“, — დაუმატა გორდონმა.

„ჩვენ ძალისხმევას არ ვზოგავთ, რათა რუსეთმა შეასრულოს 2008 წლის ხელშეკრულების პირობები ზავის შესახებ და ვიღვწით, რომ თქვენი ქვეყანა კვლავ გაერთიანდეს ისე, როგორც ეს უნდა იყოს“, — ჰილარი კლინტონის სიტყვები მოყვანილია დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.



როგორც ცნობილია, მოსკოვი და დასავლეთი სხვადასხვაგვარად განმარტავენ ზავის ხელშეკრულების დებულებებს. ეს ხელშეკრულება გაფორმდა შარშან აგვისტოში საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პირადი შუამდგომლობით.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა — გავხადოთ საქართველო მიმზიდველი“ ამერიკელები და ევროპელები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მასში საუბარია ორივე მხარის მიერ ჯარების იმ პოზიციებზე გაყვანის შესახებ, რომლებიც მათ ეკავათ კონფლიქტის დაწყებამდე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის ჯარების გაყვანას სამხრეთი ოსეთიდან და აფხაზეთიდან. მოსკოვი დარწმუნებულია, რომ სრულად შეასრულა თავისი ვალდებულებანი, გაიყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიის არასადავო ნაწილიდან.

გორდონის სიტყვებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიაჩნია, რომ სხვა ქვეყნებმა არათუ არ უნდა დაამყარონ ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობანი გამოყოფილ რესპუბლიკებთან, არამედ გააგრძელონ მათი ცნობა, როგორც საქართველოს ნაწილისა.

ამ დროს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოდის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისთვის.

„ამ პრობლემის სწრაფი და სამხედრო გადაწყვეტა არ არსებობს, და სტრატეგიული შეცდომა იქნებოდა გვეძებნა იგი, — განაცხადა მან. — მიზნისკენ ყველაზე საუკეთესო გზაა სტრატეგიული მოთმინება და საქართველოს გადაქცევა მიმზიდველ ადგილად ცხოვრებისთვის, მაგნიტად ამ ხალხისთვის (აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთელებისთვისძ, რათა მათ გაუჩნდეთ დაბრუნების სურვილი. ვფიქრობ, ქართველებმა ეს იციან“.

საქართველოს პრეზიდენტთან საუბრის დროს კლინტონმა აღნიშნა საქართველოს შემდგომი დემოკრატიზაციის აუცილებლობა.

ამ დროს, როგორც თავის საიტზე იტყობინება გერმანული ჟურნალი „შპიგელი“, ევროსაბჭოს კომისიამ, რომელიც შეიქმნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერისა და მისი კოლეგების ინიციატივით ბენილუქსის ქვეყნებიდან, დანაშაულის უდიდესი ნაწილი შარშანდელი ომისთვის საქართველოს დააკისრა, თუმცა პასუხისმგებლობა არ მოუხსნია რუსეთისთვისაც.

ექსპერტების აზრით, მოსკოვმა „ხელი შეუწყო კონფლიქტის ესკალაციას სამხედრო ძალის დიდი ოდენობის გამოყენების გზით“.

კომისიის დასკვნა ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. მისი ხელმძღვანელი, შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი აპირებს ჯერ გააცნოს იგი გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს და საქართველოს, რუსეთისა და ევროკავშირის 27 სახელმწიფოს წარმომადგენლებს. თუმცა დოკუმენტის ძირითადი შინაარსი უკვე ცნობილი გახდა გერმანული გამოცემისთვის.

მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ დაიჩივლა, რომ „ზოგიერთი იდიოტი ამბობს, თითქოს ომი ჩვენ დავიწყეთ“. უცნობია, ჰყავდა თუ არა მას მხედველობაში ევროკავშირის კომისიის წევრები.

„შპიგელის“ აზრით, დასკვნები ამცირებენ შანსს საქართველოს ნატოში სწრაფ გაერთიანებაზე.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ახმადინ ნეჟადმა აღლუმის დროს უბრძანა ამერიკელებს დატოვონ ერაყი და ავღანეთი**

სამშაბათს თეირანში გაიმართა აღლუმი ირან-ერაყის ომის დაწყების წლისთავთან დაკავშირებით. ირანის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკელებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას თავიანთ სამხედრო ოპერაციებში და განაცხადა, რომ „მუშტი, რომელიც აღმართულია ისლამის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მოიკვეთება“.

* * *

**ინდონეზიაში ბორანი ჩაიძირა: დაიღუპა 15, ათობით კაცი უგზო-უკვლოდაა დაკარგული**

გადატვირთული ნავი, რომლის ბორტზეც, ადგილობრივი ტელევიზიის ცნობით, 59 მგზავრი იყო, ორშაბათს გვიან ღამით ჩაიძირა კუნძულ ხალმახერთან, მაგრამ პოლიციას მიაჩნია, რომ ბორტზე იმყოფებოდა გაცილებით მეტი ხალხი, მათი ძებნა გრძელდება.

* * *

**კლინტონი საუბრობს ელცინის ლოთურ გამოხდომათა რამდენიმე ახალ ისტორიაზე**



ერთხელ რუსეთის პირველი პრეზიდენტი მხოლოდ ტრუსებში ცდილობდა გაეჩერებინა ტაქსი თეთრ სახლთან ვაშინგტონში. იგი ირწმუნებოდა, რომ აპირებდა პიცაზე წასვლას. სხვა დროს დამცველებმა ელცინი ლოთ მძარცველად მიიჩნიეს, როდესაც იგი სასტუმრო ცალკე სახლის სარდაფში დასეირნობდა.

* * *

**ალკოჰოლით თრობა იძლევა შანსს გადარჩენისთვის თავის ძლიერი ტრავმის დროს, გამოიკვლიეს მეცნიერებმა**

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფხიზელ ადამიანთა შორის ტრავმის მიღების მომენტისთვის 100 სიკვდილის შემთხვევაში ლეტალური შემთხვევები მოდის მხოლოდ 88 კაცზე, მათ შორის, ვინც ამ დროს მთვრალი იყო. სავარაუდოდ, ალკოჰოლმა შეიძლება მოადუნოს ადრენალინის დიდი დოზის გამოყოფა თავის ტვინში და იგი ამცირებს ანთებას.

* * *

**მოწევაზე აკრძალვის სარგებლობამ გააოცა მეცნიერები: გულის შეტევების რიცხვი ევროპასა და ამერიკაში ერთი მესამედით შემცირდა**

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ პირველსავე წელს აკრძალვის შემოღების შემდეგ ეს რიცხვი შემცირდა 17 პროცენტით. სპეციალისტები ამბობენ, რომ ელოდებოდნენ სასურველ შედეგს, მაგრამ არ ელოდებოდნენ, რომ ის აღმოჩნდებოდა ასეთი მნიშვნელოვანი.




# საქართველომ რუსეთის მოსახლეობა შეიბრალა

**ოჩამჩირეში რუსეთის კატარღების დამატებითი შეყვანა კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსეთის მილიტარისტულ მიზნებზე აფხაზეთში, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა.**

„რუსეთი არასოდეს აღიარებს, რომ მას ეს რეგიონები სჭირდებოდა მხოლოდ ერთი მიზნისთვის. ეს არის თავისი სამხედრო ბაზების შექმნა. შესაბამისად, რუსეთის მთავარი ინტერესია მომავლისთვის გააფართოვოს იქ თავისი სამხედრო ბაზები“, — აღნიშნა კაჭკაჭიშვილმა.

სასაზღვრო სამეთვალყურეო გემი „ნოვოროსიისკი“ უკვე შეუდგა აფხაზეთის წყლის საზღვრების დაცვას, გახდა პირველი გემი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დივიზიონის შემადგენლობიდან, რომელმაც უნდა დაიცვას რესპუბლიკის საზღვაო სივრცე. მთლიანად ამ მიზნისთვის დაგეგმილია, გაიგზავნოს იქ ათამდე სასაზღვრო დაცვის კატარღა, რომლებიც ბაზირებული იქნებიან ოჩამჩირეში. საქართველოს წყაროების ვერსიით, გემი „ნოვოროსიისკი“ „დაიცავს ქართველ კოლაბორაციონისტებს და რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიას“.

ადრე იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის სანაპირო დაცვა დააკავებს საქართველოს გემებს, რომლებიც დაარღვევენ საქართველო-აფხაზეთის საზღვარს. რუსეთის ჯარების ყოფნა აფხაზეთში ემყარება შარშან ნოემბერში მიღებულ ფედერალურ კანონებს „რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ“ და „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა კიდევ ერთი განცხადება, რომლითაც კომენტარს უკეთებს „რუსეთის მასმედიის აჟიოტაჟს ეგრეთ წოდებული სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის 19 წლისთავთან დაკავშირებით“. რუსეთი აგრძელებს თავის ყოფნას ვირტუალურ რეალობაში — ეკონომიკური კრიზისის პირობებში იგი არ ზოგავს ფინანსურ სახსრებს „მარიონეტული რეჟიმების შესასყიდად და აწყობს მათთვის სადღესასწაულო ფარსებს“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტის კომენტარებში.

თბილისში დარწმუნებული არიან: რუსეთის ყველა მცდელობის მიუხედავად, ყველასთვის აშკარად ცხადია, რომ „თავიდანვე განწირული არიან და ისინი ვერაფერს ვერ შეცვლიან საერთაშორისო გაერთიანებისთვის. მით უმეტეს, მარიონეტული რეჟიმებისთვის“. მაშასადამე, „რაც უფრო მალე მიხვდება კრემლი თავისი განუხორციელებელი ოცნებების უპერსპექტივობას, მით უკეთესი იქნება იგი რუსეთის მოსახლეობისთვის, რომლისგანაც მოსკოვი მუდმივად მოითხოვს ქამრების მოჭერას“.

„სიმართლის“ მორიგ პორციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციის შესახებ იტყვის უახლოეს დღეებში მიხეილ სააკაშვილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ქვეყნის სახელმწიფო მდივანთან ჰილარი კლინტონთან შეხვედრის დროს საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის საკითხებს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში.

როგორც ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, 24 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე თავისი გამოსვლის დროს სააკაშვილი შეეცდება აგრეთვე, წამოჭრას საკითხი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უშიშროების გარანტიის შესახებ. თბილისში ვარაუდობენ, რომ სააკაშვილის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და შეხვედრა ობამასთან უკიდურესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ჯერ ერთი, საქართველოს ლიდერს გაუჩნდება კიდევ ერთი შესაძლებლობა, დააფიქსიროს გაეროს მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს ხედვა კონფლიქტების მოწესრიგებაში, მეორეც, კლინტონთან და ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრების დროს საუბარი გაიმართება საქართველოს ინტეგრაციის შესახებ ევროატლანტიკურ სივრცეში.

უსმან ბოკიევი

Утро.ru

# განცხადება

## სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ა) მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის** ლაბორატორიის:
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;

**ბ) განახლებადი ენერგიების კვლევისა და გამოყენების** ლაბორატორიის:
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

**გ) თერმოელექტრული ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობისა და ხელსაწყოთმშენებლობის** ლაბორატორიის:
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 4 საშტატო ერთეული.

**დ) გეომაგნიტური გამოსხივებისა და ეკოლოგიური პრობლემების კვლევის** ლაბორატორიის:
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

**ე) კრიოგენული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის:**
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს.

ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების ჩამონათვალი (სასურველია).

3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 4 წლის ვადით.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 14 ოქტომბერი 17.00 სთ.

6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 16 ოქტომბერს.

7. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ყაზბეგის გამზ. 15.

საქართველო, თბილისი, 0160.
ელ-ფოსტა: sipt@sipt.org
ვებ. გვერდი: www.sipt.org
ტელ: +(995 32) 335520

**პასუხისმგებელი პირი: იური ნარდაია**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“
**ახვლედიანის 19** 99-62-77; 899 32-85-76.

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

## ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოს ბალანსზე რიცხული მემანქანეთა დასასვენებელი შენობის 15 კვ.მ ფართში სასადილოს მოწყობის მიზნით დროებით სარგებლობაში იჯარის ფორმით გაცემის შესახებ

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

- **საიჯარო ქონების მისამართი** - ქ. ხაშური, ხაშურის (სალოკომოტივო სამმართველო)
- **იჯარით გასაცემი ფართი - 15 კვ.მ**
- **საწყისი საიჯარო ქირა თვეში - 30 ლარი (დღგ-გარეშე)**
- **„ბე“– 30 ლარი**
- **იჯარის ვადა - 3 წელი.**

- **განაცხადების მიღების ადგილი – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის„ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული**

ტელ: 56 33 48; 56 65 10

- **განაცხადების მიღების ვადა** – 2009 წლის 23 სექტემბრიდან 2009 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით. 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
- **კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** - „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

2. 1. „მოიჯარის“ მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

2. 2. „მოიჯარე“ ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა.

2. 3. იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის „მოიჯარე“;

2. 4. ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძვლს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა;

2. 5. შპს „საქართველოს რკინიგზის“ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, „მოიჯარე“ ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

**3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

3. 1. საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

4. 1. კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს (საქართველოს რკინიგზასთან) გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

4. 2. „მოიჯარე“ ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4. 3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში „მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ „მოიჯარე“ დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა „მოიჯარეს“ ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

4. 4. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში „მოიჯარე“ არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში „მოიჯარე“ კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

5. 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

5. 2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის მითითებით (დაუშვებელია აპელირება, სხვის წინადადებაზე ასეთი წინადადებები არ განიხილება).

5. 3. „ბე“-ს გადახდის ქვითარი - „ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

5. 4. კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. 5. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5. 6. კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

5. 7. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

5. 8. გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. 9. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

6. 1. „მოიჯარეს“ გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

6. 2. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

6. 3. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6. 4. თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.

6. 5. „მეიჯარეს“ უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს „მოიჯარის“ მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“ ტელ.: 56 33 48, 56 65 10**

ფარსის წინ

# როცა ყველაფერი გადაწყვეტილია

ასე იყო, ასე არის და... ღმერთმა ნუ ქნას, მომავალშიც ასე იყოს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე მოგახსენებთ, რომელიც 1 ოქტომბერსაა დანიშნული. მართალია, პრეზიდენტობის მსურველებმა განაცხადი 26 სექტემბრის 18 საათამდე უნდა შეიტანონ ფედერაციაში, მაგრამ კულისებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ადვილი შესაძლებელია მხოლოდ ერთმა, ხელისუფლებისათვის სასურველმა კანდიდატმა სცადოს ბედი.



ასეთად ზუგდიდის „ბაიას“ სულისჩამდგმელი, რუსულ საქმიან სამყაროში გამოზრძმედილი ბიზნესმენი ზვიად სიჭინავა მოიაზრება, რომლისადმი მხარდაჭერაც, თურმე, თვით სახელმწიფოს მეთაურს დაუფიქსირებია.

ჰოდა, გეკითხებით: როცა არჩევნები მხოლოდ ფიქცია იქნება და გამარჯვებულის ვინაობა წინასწარვეა ცნობილი, ვინ მოისურვებს ფარსში მონაწილეობას? თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხმის მიცემისას მანდატებს ისეთი სუბიექტები ააფრიალებენ, რომლებსაც რასაც ზემდგომნი ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებენ.

არადა, რამდენიმე დღის წინათ, ოპოზიციურ კავშირ „ჩვენი ფეხბურთის“ ფავორიტის მიხეილ ყაველაშვილის, სფფ გენერალური მდივნის რევაზ არველაძის, ფრიად წარმატებული ბიზნესმენის მერაბ შარანგიასა და ერთ-ერთი სახელისუფლო კლანის ლიდერის დავით კირკიტაძის გვარებმაც გაიჟღერა. როგორც ჩანს, წინასწარ წაგებულ ბრძოლაში ისინი არ ჩაებმებიან.

**გია პლატონიშვილი**

ჭიდაობა

# „ბრინჯაოს“ სტარტი



**დანიის ქალაქ ჰერნინგში დაწყებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი მედლით აღნიშნა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა – 96 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულოვანმა წევრმა, პეკინის შარშანდელი ოლიმპიადის ასევე მესამე პრიზიორმა გიორგი გოგშელიძემ.**

სკანდინავიურ ხალიჩაზე პირველი გამარჯვება გორელმა ფალავანმა ბულგარელ ნიკოლა ჩტერევთან ორ სეტში მოიპოვა, თუმცა მეორე წრის ორთაბრძოლა ასეთივე უპირატესობით დათმო ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან, რუსეთის წარმომადგენელ ჰაჯიმურატ გაცალოვთან. ვინაიდან ამ უკანასკნელმა მომდევნო შეხვედრაც მოიგო და მოგვიანებით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა, „ჯვაროსანთა“ ლიდერი დამამშვიდებელ ტურნირში, ეგრეთ წოდებულ რეპეშაჟში გადაერთო და ბოძებული შანსი მშვენივრად გამოიყენა. მისი მსხვერპლნი სამხრეთაფრიკელი ფრანკ ვან ჰუისტინი, გერმანელი ოლაფ ვაგნერი და ირანელი საიდ იბრაჰიმი გახდნენ.

რაც შეეხება ბესიკ გუჩაშვილსა (55 კგძ და შალვა აბაჯევს (ყოფილი მუზიაშვილი, 66 კგძ, მათ პირველივე შეხვედრები წააგეს, შესაბამისად, უკრაინის სახელით მოასპარეზე მიკოლა აივაზიანთან და ირანელ მეჰდი ტაგავი კერმანთან. მართალია, სპარსეთის ძვეშევრდომმა დანარჩენი შერკინებებიც მოიგო და უმაღლეს ფორუმზე გამოსვლა ტრიუმფით დაასრულა, მაგრამ ამით ქართული დელეგაციის წევრმა ვერ ისარგებლა – რეპეშაჟის პირველივე პაექრობაში უკრაინელ ანდრეი სტადნიკთან დამარცხდა და მაყურებელთა შორის გადაინაცვლა.

კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა გუჩაშვილის ფინიში – აივაზიანს მეოთხედფინალში ფარ-ხმალი მომავალმა ჩემპიონმა, სამხრეთკორეელმა ჩიონ-ლი იანმა დააყრევინა, რითაც ჩვენს თანამემამულეს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო.

კალათბურთი

# ეს ქართული ლეგიონია



**„ჯვაროსანთა“ ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში ალზევების შემდეგ მისი წევრები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ და ახალი სეზონისთვის ემზადებიან.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის ათენის „პანათინაიკოსის“ ქართველი ლეგიონერის გიორგი შერმადინის სიჩაუქე. ბერძნული გრანდის სერბი თავკაცის ჟელკო ობრადოვიჩის სამშობლოში მოწყობილ შეკრებაზე „პაომ“ იოლად დაამარცხა იქაური მეორე ლიგის ბინადარი „უჟიცე“ – 91:53 და ბოსნიური „ვარდა“ – 85:62, ჩვენმა ჭაბუკმა თანამემამულემ კი ამ შეხვედრებში 44 (შესაბამისად – 16 და 28ძ ქულა შეასძინა პარტნიორებს.

პირველი ბრძოლა 12-12 ქულით დაასრულეს ჩერნოგორიელმა პეკოვიჩმა და ამერიკელმა ბატისტმა, ხოლო მეორეში გიოს მონაგართან მიახლოებაც კი ვერავინ მოახერხა: პეკოვიჩი – 14, სპანოსი, ბოგრიჩი – 13-13, ჰაცოპულოსი – 10 ქულა. ასეთი წარმატებული თამაშის შემდეგ ბერძნულ პრესაში სულ უფრო ხშირად გამოითქმის ვარაუდი, რომ შერმადინი მალე ათენელთა სასტარტო ხუთეულში მოიკიდებს ფეხს. ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

დავძენთ,რომ „პაოს“ გაცილებით სერიოზული მეტოქეები ოქტომბრის დასაწყისში მოსკოვში ეყოლება, სადაც ალექსანდრე გომელსკის მემორიალის სტარტზე რუსულ „ტრიუმფს“ შეხვდება. ოთხთა ტურნირის მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ცსკა და „ლიეტუვას რიტასი“ დაუპირისპირდებიან.

* * *

შედარებით მოკრძალებული დებიუტი ჰქონდა ახალ გუნდში – ბოლონიის „ვირტუსში“ ვიქტორ სანიკიძეს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი მოწინააღმდეგენი საკალათბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტით გამოირჩევიან.

„ტროფეო ანჯელიკოს“ სახელით ცნობილი ოთხთა ტურნირის პირველ მოგებულ მატჩში „ბიელასთან“ – 65:62 ამასწინანდელი სანაკრებო ბატალიების ერთ-ერთმა გმირმა 5 ქულას მოუყარა თავი, ხოლო კიდევ ერთ იტალიურ კლუბთან – ტრევიზოს „ბენეტონთან“ წაგებულ ფინალში – 69:74 – 4 ქულა მოაგროვა.



ინტერნეტიდან

## პლატინი — უკრაინის გარანტი

**2012 წლის ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ნამდვილად რომ გაიმართება უკრაინასა და პოლონეთში, უკრაინული გაზეთის „სეგოდნიას“ ცნობით, ამის გარანტიას იძლევა ევროპის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი მიშელ პლატინი.**

**„ალტერნატივა არაა, – განაცხადა პლატინიმ, – მხოლოდ ისაა გასარკვევი, უკრაინა ორ თუ ოთხ ქალაქს წამოაყენებს“.**

ადრე უეფამ განაცხადა, რომ იმ ქალაქების რიცხვში, ვინც ევროპის ჩემპიონატს მიიღებს, ნამდვილად არის კიევი და პირობითად – დონეცკი, ლვოვი და ხარკოვი. „ამ სამი ქალაქიდან სამივეს აქვს ძლიერი და სუსტი ადგილები. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ იყოს ოთხი ქალაქი“, – განაცხადა უკრაინის სპორტის მინისტრმა იური პავლენკომ.



კიევის ვიცემერი ევგენია ჩერვენენკო კი ეჭვობს, რომ ამ დროისთვის სათანადოდ მოემზადებიან სტადიონი „ოლიმპიური“ და ბორისპილის აეროდრომი, ხოლო თუ მხოლოდ ორ ქალაქს გამოყოფენ, მაშინ ისინი დონეცკი და ხარკოვი იქნებიანო.

თუ ვინ უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატის მატჩებს, უეფა გადაწყვეტს 10-11 დეკემბერს. 13 მაისს გამოცხადდა, რომ ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებდა კიევი, ხოლო დონეცკის, ლვოვისა და ხარკოვის საკითხი გადაიდო, ოდესა და დნეპროპეტროვსკი კი საერთოდ ამოიღეს სიიდან.

30 ნოემბრამდე უნდა დამთავრდეს მოსამზადებელი სამუშაოები სტადიონების, სასტუმროების, აეროპორტების, ტრანსპორტის და სხვა ინფრასტრუქტურის უეფას მოთხოვნების შესაბამისობაში მოსაყვანად.

## „რენო“ დასაჯეს

**პარიზში გაიმართა საერთაშორისო ავტოფედერაციის ექსტრენული სხდომა, რომელმაც განიხილა „ფორმულა-1“-ის საჯინიბო „რენოს“ მრბოლის ნელსონ პიკე-უმცროსის შარშანდელი ავარია „სინგაპურის გრან-პრის“ დროს. როგორც ბრაზილიელმა მრბოლმა განაცხადა, ის კი ივლისის ბოლოს გუნდიდან დაითხოვეს შეჯიბრებებზე ცუდი შედეგების გამო, ავარია იყო გუნდის მენეჯერის ფლავი ბრიატირეს და ტექნიკური დირექტორის პეტ სიმონდსის წინასწარი მოლაპარაკების შედეგი.** ავარია კი გაითამაშეს, რათა რბოლაში უზრუნველეყოთ „რენოს“ ლიდერის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ფერნანდო ალონსოს გამარჯვება.

განხილვის შედეგად გადაწყდა „რენოს“ ორწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია – 2010 და 2011 წლებში. სასჯელი ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ კი ამ პერიოდში „რენო“ დაარღვევს „ფორმულა-1“-ის სპორტულ ან ტექნიკურ რეგლამენტს.

ფლავიო ბრიატორე გადააყენეს „ფორმულა-1“-თან დაკავშირებული ყოველგვარი თანამდებობიდან, მათ შორის პილოტებთან მუშაობიდანაც, სიმონდსი გადაყენებულია FIA-სთან 5 წლამდე მუშაობიდან. სკანდალის უშუალო მონაწილეს ნელსონ პიკე-უმცროსს შეუნარჩუნეს იმუნიტეტი ბრიატორესა და სიმონდსის საწინააღმდეგო ჩვენებების ნაცვლად.



ვინაიდან ფერნანდო ალონსოს ამ შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია, ის უდანაშაულოდ მიიჩნიეს.

## აიდას თითქმის არ უდარდია

**ახლახან იტალიური საზოგადოებრიობა შეძრა სულ ახალმა გაყრამ (ალბათ უკანასკნელმაძ – ვენესუელელი მოდელის აიდა იესპაიკისა და „სკუადერა აძურას“ ყოფილი მცველის მატეო ფერარის განშორებამ.**

როგორც ამბობენ, ამის გამო დიდხანს არც ერთს არ უდარდია. იტალიური „ჯენოადან“ თურქულ „ბეშიქთაშში“ გადასულმა ფეხბურთელმა მალე გაიჩინა ახალი სატრფო – ფრანცისკა ლიდო.

აიდამ კი წუხილის განსაქარვებლად მაიამს მიაშურა და მალე ბიზნესმენ ემილიანო როდრიგესის მკლავებში აღმოჩნდა. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მაინც ფიქრობს თავის ალჟირელ-იტალიელზეც და შვილი არონიც, რომელიც ნოემბრის ბოლოს მხოლოდ ერთი წლის გახდება, ხშირად ახსენებს მატეოსს, თუმცა მასთან უკვე უთვალავჯერ იყო გაყრილი და შერიგებული. ალბათ ეს აღარ განმეორდება.



განცხადება

# ვის სინდისზეა გივი აფციაურის დაღუპვა?

საზოგადოებისთვის ცნობილია უზნაძის ქუჩაზე 16 სექტემბერს მომხდარი უბედურება, რომელმაც შეიწირა ერთი პოლიციელის სიცოცხლე, ორი კი მძიმედაა დაჭრილი. „ქართული აკადემია“ მწუხარებას გამოხატავს პოლიციელ გივი აფციაურის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს, ხოლო მიხეილ ბარამიძესა და გიორგი თაბორიძეს გულწრფელად უსურვებს გამოჯანმრთელებას.

ამასთანავე, შეუძლებელია უყურადღებოდ დარჩეს ამ ფაქტის მიხეილ სააკაშვილისეული კომენტარი: **„იმდენი იძახეს პრესის საშუალებებმა, რომ პოლიციელმა იარაღი არ უნდა გამოიყენოს... ყოველთვის, როცა იარაღი გამოიყენა, ადანაშაულებენ რატომღაც პოლიციელს და სტატისტიკა მოჰყავთ და დემონსტრაციებს აწყობენ – ჩვენი უდანაშაულოდ დაღუპული ბიჭები! დღეს ეს ბანდიტი რომ მოეკლათ, ასევე გამოაკრავდნენ ერთ-ერთ მიტინგზე – უდანაშაულო მსხვერპლი სახელმწიფო ტერორის! და იმათ სინდისზე იყოს, ვინც ამ პლაკატებს აკრავს, ამ პოლიციელის სიცოცხლე“.**

ამ სალი გონებისათვის ყოვლად გაუგებარ „ლოგიკაზე“ აგებული კომენტარით სააკაშვილმა კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და იმ ათეულობით ახალგაზრდის ხსოვნას, რომლებიც ბოლო წლებში პოლიციელებმა მოკლეს და რომლებიც სააკაშვილმა, მისივე შეფასებით, ბანდიტ რატი რეხვიაშვილს, – ხაზგასმით უნდა ითქვას, მის მიერვე შეწყალებულ რატი რეხვიაშვილს, – გაუთანაბრა. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, სხვათა ჭკუის დამრიგებელ სააკაშვილს საზოგადოებამ მოსთხოვოს, საფლავში მაინც დააყენოს სააკაშვილის მიერვე ინსპირირებული და წაქეზებული სახელმწიფო ტერორის მსხვერპლი უდანაშაულო ახალგაზრდები.

ცალკე საკითხია, თუ როგორ და რა ვითარებაში მოხდა რატი რეხვიაშვილის შეწყალება. არსებობს საკმარისი საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი სააკაშვილმა შეწყალების კომისიის გვერდის ავლით გაათავისუფლა ციხიდან. და, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა მოტივი ამოძრავებდა თავად სააკაშვილს, როცა ქურდობისთვის ნასამართლევ რატი რეხვიაშვილს იწყალებდა? სწორედ ამ საკითხის გამორკვევის შემდეგ გახდება ნათელი, თუ ვის სინდისს აწევს გივი აფციაურის დაღუპვა: ჟურნალისტების, „პლაკატების გამკვრელებისა“ თუ თავად მიხეილ სააკაშვილისას.

დასასრულ, საგანგებოდ აღვნიშნავთ: საზოგადოება პოლიციას დამნაშავეთა წინააღმდეგ კანონით მინიჭებული საშუალებებით, – მათ შორის, როცა ამის აუცილებლობაა, იარაღის გამოყენებითაც, – ბრძოლას კი არ ედავება, არამედ – ქუჩებში უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვას.

**„ქართული აკადემია“**

გუშინ – დღეისთვის

# „რისკის ზონა“



**გამოქვეყნდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვით 2009 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, საქართველოში მშპ-მ (მთლიანი შიდა პროდუქტიძ ერთ სულ მოსახლეზე 876,9ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8 პროცენტით ნაკლები ყოფილა.**

ცნობილია, რომ სახელმწიფო გადატრიალებების სიმრავლე დღემდე დამახასიათებელია სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნისთვის. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალებები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონის პირდაპირ პროპორციულია. არსებობს სახელმწიფო გადატრიალებების „მცდელობათა ზედა ზღვარი“ და „წარმატების ალბათობის ზედა ზღვარი“.

ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური მაჩვენებელი 1000-დან 2500 დოლარამდე მერყეობს, სახელმწიფო გადატრიალებები, ჩვეულებისამებრ, წარუმატებლად მთავრდება, ხოლო ქვეყნებში, სადაც იგივე მაჩვენებელი 2500 დოლარზე მეტია, გადატრიალებების მცდელობაც კი არ შეინიშნება. „რისკის ზონაში“ არიან ქვეყნები, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1000 დოლარზე ნაკლებია. ასე რომ, ჩვენ, ქართველები „რისკის ზონაში“ ვართ.

**ვაჟა თვალავაძე**

სემინარი

# მშვიდობას მიეძღვნა

**21 სექტემბერს, საქართველოს სამ ქალაქში – თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში მშვიდობის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ვაშლიჯვარში მდებარე № 2 საჯარო სკოლაში ჩატარდა, სადაც აფხაზეთის კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა მშვიდობისადმი მიძღვნილი სემინარი ჩაატარა.**

მინისტრმა მოსწავლეებს მტრედისგამოსახულებიანი გერბები დაურიგა, შემდეგ კი პირადად გაეცნო თითოეულ მოსწავლეს. დალი ხომერიკმა მოსწავლეებს ამ დღის მნიშვნელობა განუმარტა. სემინარზე განიხილეს კონფლიქტების თემაც.

ბავშვებისთვის სიტყვა მშვიდობა ასოცირდება თავისუფლებასთან, სიყვარულთან, მეგობრობასთან, ტოლერანტობასთან. ხოლო კონფლიქტის სინონიმებად ომი, სიკვდილი, უბედურება, ლტოლვილობა დაასახელეს. ალბათ ეს სიტყვა მათთვის ყველაზე ნაცნობი, მტკივნეული და მრავლისმეტყველია.

სემინარზე წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელოები ბავშვთა უფლებების შესახებ, ასევე, მინისტრმა ბავშვებს უჩვენა მშვიდობისა და კონფლიქტების ამსახველი ფოტოებიც.

აფხაზეთის კულტურის მინისტრის სტუმრობით № 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები კმაყოფილი დარჩნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სემინარის ჩატარება აფხაზეთის № 2 საჯარო სკოლაში, ერთგვარად სიმბოლურიცაა, რადგან აქ დევნილი ბავშვები სწავლობენ.

**მერი ქურასბედიანი**

**იყიდება ყინულის აპარატი „ჰოშიზაკი“. მოდელი „1 M-21 CHE“, ვერცხლისფერი, ახალი, წონა 34 კგ, წარმადობა 30 კგ 24 საათში.**
**ფასი 1200 ლარი**
**ტელ: 858 12 88 60 ნოდარი.**

**იყიდება საყინულე მაცივარი „ინდეზიტი“ ტროპიკალი, 6-უჯრიანი, ახალი.**
**ფასი 750 ლარი**
**ტელ: 858 12 88 60 ნოდარი.**

**რეკლამა**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“**
**99-62-77;**
**899 32-85-76.**

ფული ჩვენი არსობისა

# „კაიფით“ გასვრილი დოლარები

**ახლახან ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ ამერიკული დოლარების 80 პროცენტს კოკაინის კვალი აჩნევია. ესაა მსოფლიოში ყველაზე მეტად „დაკაიფებული“ ფულის კუპიურები. საინტერესოა, რით გამოირჩევა სხვა ქვეყნების ფულის ნიშნები?**



**ყველაზე „სოციალური“**

ნარკოტიკებისგან ყველაზე სუფთა ფულია იაპონური იენი: „თეთრი სიკვდილი“ კუპიურების მხოლოდ 12 პროცენტზე აღმოაჩინეს. თუმცა ამომავალი მზის ქვეყნის ფულმა სახელი არა ამით, არამედ თავისი სოციალურობით გაითქვა: 5 და 50-იენიან მონეტებს შუაში ნახვრეტი აქვთ, რაც თვალისჩინდაკარგულ ადამიანებს მათი ერთმანეთისგან გარჩევის საშუალებას აძლევს.

სხვათა შორის, ნახვრეტები ნორვეგიულ კრონებსაც აქვთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, პრაქტიკულმა ევროპელებმა ეს ლითონის დასაზოგად გააკეთეს.



**„ლამაზმანი“ ბანკნოტები**

ამ წოდების პრეტენდენტი, სულ მცირე, ათი მაინც არის. საფრანგეთის პოლინეზიის ბანკნოტებზე გამოსახულია გვირგვინებით შემკული ქალბატონები და პალმები, კუკის კუნძულების დოლარებზე – ნიჟარები და უზარმაზარ თევზებზე შესკუპული მხედრები, ახალი ზელანდიის ფულზე კი – მთები და პინგვინები.



**ჩინელი „ბინძურები“**

მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებულად აღიარეს „ჟენმინჟიბი“ – 100 იუანის ნომინალის კუპიურები, რომელთაგან თითოეულზე აღმოაჩინეს 180 ათასი ბაქტერია. ჩინელი მოლარეები, რომლებიც ამ კუპიურებთან მუშაობენ, ჰეპატიტით სხვებზე ექვსჯერ უფრო ხშირად ავადდებიან.

**ანტიმექრთამეები**

2007 წელს ინდოეთში, მექრთამეობასთან ბრძოლის მიზნით... „ნოლი“ ნომინალის კუპიურა გამოუშვეს. ის 50 რუპიის ნომინალის ბანკნოტის კოპიოა, მაგრამ არა ყალბი. ვარაუდობდნენ, რომ ამ ბანკნოტებს მოქალაქეები ქრთამის მომთხოვ მოხელეებს მისცემდნენ. ხელისუფლები ფიქრობდნენ, რომ ეს პრაქტიკა მექრთამეებს ფულის გამოძალვის ხალისს დაუკარგავდა. თუმცა, იმის გამო, რომ ინდოეთის ხელისუფალნი აღნიშნული ექსპერიმენტის თაობაზე ენას არ ასველებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ის წარუმატებელი გამოდგა.



**ინფლაციის მსხვერპლნი**

50 მილიარდი დოლარი – ერთი კუპიურით... არა, ეს რომან აბრამოვიჩის კარგი სიზმარი კი არა, არამედ აფრიკის სახელმწიფოს ზიმბაბვეს სინამდვილეა. დოლარები, ცხადია, ზიმბაბვეურია და ამხელა ციფრების კუპიურებზე დასტამბვის მიზეზი ჰიპერინფლაციის გამო მოხდა. საგულისხმოა, რომ შარშან ამ პროცესმა 321მილიონ (!ძ პროცენტს მიაღწია. სხვათა შორის, 50 მილიარდ დოლარად წლეულს იანვარში... სამი გაზეთის ყიდვა შეიძლებოდა.

**რევაზ მიშველაძე, იზა ჯაჭვაძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, პაატა ნაცვლიშვილი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი**

**გივი ნაცვლიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 24 IX, 13 სთ. სოფელ მატანში (ახმეტის რძ.**

---

**შოთა დავითაშვილი და გულიკო მაზმიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ ექიმ-კარდიოლოგს დარეჯან ქუთათელაძეს დედის**

**როზა გიგინეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ დირექტორი გულნარა ჩაფიძე თანაგრძნობას უცხადებს ამავე ცენტრის თანამშრომელს დარეჯან ქუთათელაძეს დედის**

**როზა გიგინეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ცენტრის თანამშრომელს, ექიმ-კარდიოლოგს დარეჯან ქუთათელაძეს დედის**

**როზა გიგინეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „გზაკომუნპროექტი“ და „ექსპერტიზა“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის თანამშრომლებს ლალი და მანანა მიქაშავიძეებს გარდაეცვალათ მამა, ამავე ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ამაგდარი მეგზევე და დამსახურებული ინჟინერი**

**კარლო მიქაშავიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.**

---

**ქ. ტყიბულის № 1 საშუალო სკოლის 1981 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი თანაკლასელის**

**ვლადიმერ (ლადოძ ჯიშიაშვილის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.**

**შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, ქ. თბილისი, ს. კედიას ქ.№7 აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის: I სართული 40,5 კვ.მ.**

საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 3 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში დღგ-ს გარეშე.

ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.

ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:

1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არა უმეტეს 1 წლით;
2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს „შშმპ“-თა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შენობაში 2009 წლის 7 ოქტომბერს – ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7, ოთახი 21. ტელ: 34-80-47.

## დღის კალენდარი

23 სექტემბერი





**ამოდის 05.47**
**ჩადის 17.57**

**ამოდის 20.10**
**ჩადის 10.48**

# წლის 264-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 99 დღე.

## მე-16 შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

**ხსენება წმიდა მოწამე მინადორასი, მიტრადორასი და ნიმფადორასი** (305-311ქ; მოციქულთა: აპელისა, ლუკასი და კლიმენტისა – სამეოცდაათთაგანისა (Iქ. მოწამე ვარიფსავასი (IIქ; კეთილმორწმუნე დედოფლისა ბერძენთა პულქერიასი (453ქ; წმიდათა პეტრესი და პავლესი – ნიკიელ ეპისკოპოსთა (IXქ.

### დაიბადნენ:

**ძვ.წ.აღ. 63 – გაიუს ავგუსტუსი,** რომის იმპერატორი. გარდაიცვალა ჩვ.წ.აღ. 14 წელს.
**1900 – ვერიკო ანჯაფარიძე,** მსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს.
**1901 – იაროსლავ სეიფერტი,** ჩეხი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1987 წელს.
**1943 – ხულიო იგლესიასი,** ცნობილი ესპანელი მომღერალი.

### გარდაიცვალნენ:

**1835 – ვინჩენცო ბელინი,** იტალიელი კომპოზიტორი.
**1870 – პროსპერ მერიმე,** ფრანგი მწერალი.
**1889 – უილკი კოლინზი,** ინგლისელი მწერალი.
**1928 – როალდ ამუნდსენი,** ნორვეგიელი პოლარული მოგზაური და მკვლევარი .
**1939 – ზიგმუნდ ფროიდი,** ავსტრიელი ექიმი და ფსიქოანალიტიკოსი.
**1973 – პაბლო ნერუდა,** ჩილელი პოეტი.

### მოვლენები:

**1733** – სანკტ-პეტერბურგში გაიხსნა ერმიტაჟის თეატრი.
**1846** – გერმანელმა ასტრონომმა იოჰან ჰალეიმ აღმოაჩინა მზის სისტემის მერვე პლანეტა – ნეპტუნი.
**1857** – რუსეთის გემი „ლეფორტი“ ფინეთის ყურეში ჩაიძირა. დაიღუპა 826 ადამიანი.
**1991** – სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**შემოდგომის ბუნიობა.**
**ზღვის მსოფლიო დღე.**
**საუდის არაბეთი** – სამეფოს გაერთიანების დღე.
**ლიტვა** – გენოციდის მსხვერპლთა დღე.

მელიანიუსი

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6785 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4526 ლარი |
| 1 ბრიტ. სტ. | – 2.7680 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.4164 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4502 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0892 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0989 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1272 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4579 ლარი |

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +23 |
| ქუთაისი. | +14 – +17 |
| ბათუმი. | +17 – +20 |
| ზუგდიდი. | +16 – +18 |
| თელავი. | +13 – +20 |

## ჰოროსკოპი

# სასწორი

**23 სექტემბერი – 23 ოქტომბერი**

**მფარველი პლანეტა – ვენერა**

**ქალბატონი**

სასწორი-ქალბატონი აქტიურად მოქმედებს, მას წინააღმდეგობებისა არ ეშინია და მხოლოდ წინ მიიწევს, გამბედაობა კი მისი გამარჯვების საწინდარია.

მთელი წლის განმავლობაში იგი უჩვეულოდ აქტიური, ზოგჯერ აგრესიულიც კი იყო და ასეთად მის დამლევამდე დარჩება. ყველა მნიშვნელოვანი საქმის ბოლომდე მიყვანა უმჯობესია საკუთარ დაბადების დღემდე დაასრულოს, რადგან სწორედ ეს დროა საამისოდ უფრო ხელსაყრელი. მისთვის ინიციატივის გამოჩენა, თამამად მოქცევა სწორედ წელსაა მეტად მნიშვნელოვანი, მით უმეტეს, რომ ახლობლები და მეგობრები მუდამ მხარში უდგანან. შემოდგომამ, შესაძლოა, საოჯახო ურთიერთობებში ერთგვარი დაძაბულობა მოუტანოს, რაც ბევრ სხვა საქმეზე ხელს აალებინებს. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობამ, შესაძლოა, კრიტიკულ ზღვარს მიაღწიოს, ამიტომ მისგან საჭიროა გონივრული, აწონ-დაწონილი და არა ემოციებზე დამყარებული მოქმედებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალწლიან ურთიერთობებსაც კი საფრთხე შეექმნება.



**მამაკაცი**

სასწორი-მამაკაცი ყველაფერს ახლებურად შეხედავს, შეიცვლება მისი ხასიათი და ჩვეულებები, მაგრამ ეს ახალი სიმაღლეების დაპყრობაში დაეხმარება. იგი ყველას გაკვირვებას შეძლებს, რადგან გამუდმებით ეჭვიანი კაციდან მტკიცე ნებისყოფის კაცად გადაიქცევა. წლის პირველ ნახევარში დაგეგმილი საქმეები მან აუცილებლად მეორე ნახევარში აქტიური მოქმედებების შედეგად უნდა განახორციელოს. ამიტომ საყვარელი ქალბატონი აუცილებლად უნდა ამოუდგეს მხარში. სექტემბრის მიწურულს სამსახურებრივ საქმიანობაში დაძაბულობამ შესაძლოა სტრესამდეც კი მიიყვანოს. ეს კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ საყვარელმა ქალბატონმა მის მიმართ ზრუნვა გააორმაგოს. ვითარება კიდევ უფრო მეტად შეიძლება ზამთრის დამდეგს დაიძაბოს, ამიტომ დაკვირვება და გონიერება არა მარტო ახლობლებმა, არამედ თავადაც უნდა გამოიჩინოს.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ინფორმაცია

# „სითი პარკმა“ მიგვატოვა

ებრაული საინვესტიციო კომპანიის ნაცვლად დედაქალაქში პარკირების საკითხებს თბილისის მერია გადაჭრის. გიგი უგულავამ კერძო კომპანიისგან უფლებამოსილების თბილისის მთავრობისთვის გადაბარება საქალაქო სამსახურებს ოფიციალურად დაავალა.

– უნდა შეიქმნას მუნიციპალური საწარმო, რომელსაც დაევალება პარკირების ადმინისტრირება. 1 ოქტომბრიდან დეკლარირებულია და ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ შემოვიღეთ წლიური ბარათი, რომელიც 25 ლარი ეღირება, ჩვენ ვესაუბრეთ ბანკებსაც და შევთანხმდით, რომ ადამიანებს ამ საფასურის გადახდა „საქართველოს ბანკსა“ და „სახალხო ბანკში“ შეეძლებათ, – განაცხადა უგულავამ.

ჯი-ეიჩ-ენი

## კადრი



## ანეკდოტები

– მამი, ხვალ ნუ წახვალ, სკოლაში მშობელთა კრებაზე!
– რატომ, შვილო?
– იქაურობა დავნაღმე, მაგათი დედაც!
– ოჰ, შე თავხედო, ისევ იგინები ხომ მამის თანდასწრებით...

* * *

მალე ალკოჰოლი ისე გაძვირდება, რომ მხოლოდ მდიდარმა კაცმა შეიძლება მისცეს თავის თავს უფლება, უგონოდ მთვრალი მიეგდოს – მოსკოვის რკინიგზის სადგურთან.

* * *



ზის ტიპი, ანკესის ლივლივას მისჩერებია. ერთი საათი უყურებს, მეორე საათი... მესამე საათიც რომ გადის, აბაზანაში ცოლი შემოდის:
– კარგი, ჯანდაბას შენი თავი! წადი სათევზაოდ, თორემ სარეცხი მაქვს გასარეცხი!

* * *

სწავლა არასოდეს არ არის გვიან, მაგრამ ხშირად უშედეგოა.

* * *

ერთი მოკრივე მეორეს ეუბნება:
– გუშინ მეტროში ბოშამ ოპერაციისთვის ფული მთხოვა.
– მერე?
– კი. მივართვი.
– ბევრი?
– არც ისე, მაგრამ ოპერაცია დასჭირდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.